პროლეტარეტო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 11 (10708) | კვირა, 13 იანვარი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საბრძოლო მუშაობისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად. — **„პრავდის“ 12-I მოწინავე** (1-ლი გვერდი).

ტაშკენტს ჩავიდნენ ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი და კ. ე. ვოროშილოვი (1-ლი გვერდი).

ალმა-ატას ჩავიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი (1-ლი გვერდი).

ბრძანებულებები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).

რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე. — **ს. ნარიმანიძე.** — ჩამორჩენილი კოლმეურნეობები წამოვწიოთ მოწინავეთა დონემდე (მე-2 გვერდი).

მევენახეობისა და მებაღეობის განვითარების საკითხი რაიკომის პლენუმზე (მე-2 გვერდი).

სოფლკორები გვწერენ. — **ნ. იტრიევი.** — გაზეთებს დაგვიანებით ვიღებთ; **მ. ჭოჭუა.** — მოქვეჭესი დაუტვირთავად მუშაობს (მე-2 გვერდი).

არ დავუშვათ ყველადოგის შემცირება, განუწყვეტლივ ვზარდოთ მეცხოველეობის პროდუქტიულობა. — **ს. ქოჩლაძე.** — ცუდი დასაწყისი; **ბ. ჩხაიძე, ბ. შეენიერული.** — მუშაობა შეასუსტეს, წველადობამ იკლო (მე-2 გვერდი).

ე. რაზმაძე. — საქართველოს საბღვაო კარი (მე-3 გვერდი).

ლ. ხუბულური. — ახალი ორქიდეოლოგიური გათხრები (მე-3 გვერდი).

საუბარი სოფლის ინტელიგენციაზე. **ვლ. თორდუა.** — **ბაბ** — გავლილი ადამიანის სიყვარულით (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

საბრძოლო მუშაობისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად

თავისი ძალების ურყევი რწმენით შევიდა საბჭოთა ხალხი მეექვსე ხუთწლედის მეორე წელიწადში. ახალი წლის წინ გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი, რომელმაც განიხილა სამეურნეო მშენებლობის უმნიშვნელოვანესი საკითხები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი მხურვალედ მოიწონა მთელმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა. ამჟამად ჩვენი ქვეყნის რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო ცენტრებში მიმდინარეობს პარტიული აქტივის კრებები, რომლებზეც განიხილავენ პლენუმის შედეგებს და სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს პლენუმის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად. გაიმართა მოსკოვის საქალაქო და მოსკოვის საოლქო პარტიული აქტივის კრებები. მოსკოვში მოეწყო რუსეთის ფედერაციის სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელი მუშაკების თათბირი. მინსკსა და ალმა-ატაში მოეწყო რესპუბლიკური პარტიული აქტივის კრებები, კოსტროვარსა და ბარნაულში — სამხარეო პარტიული აქტივის, სტალინგრადში, სარატოვში, ციროვსა და ხარკოვში — საოლქო პარტიული აქტივის კრებები.

პარტიული აქტივის კრებების მონაწილენი განსაკუთრებული კმაყოფილებით აღნიშნავენ ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში გასულ 1956 წელს მოპოვებულ წარმატებებს. ეს წარმატებანი კიდევ და კიდევ მჭევრმეტყველურად მოწმობენ მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობას კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით, ჩვენს ქვეყანაში, სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყანაში ეკონომიკის ზრდისა და აყვავების განუსაზღვრელ შესაძლებლობებს.

როგორც პარტიული აქტივის კრებების მონაწილენი აღნიშნავენ, პლენუმის გადაწყვეტილებანი გვიჩვენებენ, რომ ჩვენს პარტიას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი განუხრელად და თანმიმდევრულად განაგრძოს მძიმე ინდუსტრიის უპირატესი განვითარების ლენინური კურსი, მძიმე ინდუსტრიისა, რომელიც სსრ კავშირის მთელი სახალხო მეურნეობის ურყევ საფუძველს შეადგენს. ეს გადაწყვეტილებანი ამასთანავე მოწმობენ, რომ ჩვენი მძიმე ინდუსტრიის მიღწევებსა და სოფლის მეურნეობის დაწყებულ მკვეთრ აღმავლობაზე დაყრდნობით ჩვენ შეგვიძლია წარმატებით გადავწყვიტოთ ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანები.

მტრული ბურჟუაზიული პროპაგანდა ცდილობს პლენუმის გადაწყვეტილებანი ახსნას როგორც რაღაც განსაკუთრებული სიძნელეების გამოხატულება, რომლებსაც ჩვენი ქვეყანა განიცდის, როგორც უარისთქმა სამრეწველო მშენებლობის წინათ დასახულ მაღალ ტემპებზე. ბურჟუაზიული პროპაგანდის ასეთი მტკიცება მხოლოდ და მხოლოდ ცილისწამებაა. საქმე ეხება არა სამრეწველო მშენებლობის მაღალ ტემპებზე უარისთქმას, არამედ ეკონომიური განვითარების ახალ საფეხურზე გადასვლას, როცა მაღალ ტემპებს უზრუნველყოფენ არა მარტო და არა იმდენად დიდი კაპიტალური დაბანდებანი, რამდენადაც არსებულ შესაძლებლობათა უფრო სწორად გამოყენება, საქმის უფრო რაციონალური ორგანიზაცია, რომელიც შეესაბამება კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპს.

უმდიდრესი გამოცდილების განზოგადების საფუძველზე პლენუმმა ცხადყო, თუ კაპიტალურ დაბანდებათა შემცირებით როგორ შეიძლება არა მარტო არ შევანელოთ, არამედ კიდევაც გავაძლიეროთ ახალი სამრეწველო მშენებლობის ტემპები, თუ ბოლოს მოვუღებთ ძალების, სახსრებისა და მასალების დაქსაქსვას მრავალ ობიექტზე, თუ ყველგან გამოვიყენებთ მეცნიერების, ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევებს. ეს კი საშუალებას მოგვცემს გავადიდოთ სახელმწიფო ასიგნებანი საბინაო მშენებლობისათვის, მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა უფრო სრული დაკმაყოფილებისათვის.

პარტიული აქტივის კრებებზე სამართლიანად აღნიშნავენ ხაზგასმით, რომ პლენუმის გადაწყვეტილებათა პრაქტიკული განხორციელებისათვის საჭირო იქნება სერიოზული დაძაბულობა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანოების მუშაობაში, საწარმოო შესაძლებლობათა და რეზერვების მობილიზაცია მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, სამეურნეო მშენებლობის, თვითეული სამრეწველო საწარმოს და მშენებლობის, თვითეული კოლმეურნეობის, მტს-ისა და საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელობის დონის ამაღლება.

პარტიული აქტივის კრებების მონაწილენი ერთსულოვნად აღნიშნავენ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახულ საკითხებს იმის შესახებ, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს სამეურნეო მშენებლობის ხელმძღვანელობა, საგეგმო ორგანოების მუშაობა, გაფართოვდეს მოკავშირე რესპუბლიკების, სამინისტროებისა და საწარმოების უფლებები, განვითარდეს მშრომელთა ფართო მასების საწარმოო ინიციატივა, გაძლიერდეს პროფკავშირთა როლი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

რუსეთის ფედერაციის სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელი მუშაკების თათბირზე, რომელმაც განიხილა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის შედეგები, აღინიშნა, რომ რესპუბლიკის მრეწველობას, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მას გადაეცა მრავალი ათასი საწარმო, რომლებიც საკავშირო სამინისტროებს ექვემდებარებოდა, უდიდესი ხვედრითი წონა აქვს ჩვენი ქვეყნის მთელ სახალხო მეურნეობაში. ამ პირობებში მნიშვნელოვანწილად ძლიერდება ფედერაციის სახელმწიფო საგეგმო კომისიის, სამინისტროთა და უწყებათა პასუხისმგებლობა სახალხო მეურნეობის დაგეგმვასა და არსებული რეზერვების უკეთ გამოყენებაში. ამავე დროს რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიისა და ბევრი სამინისტროს მუშაობას დიდი ნაკლოვანებები აქვს. კერძოდ, ამას მოწმობს სატყეო მრეწველობის მეტ წილ საწარმოთა მაგალითი. ბევრი მუშა აქ ახლაც ვერ ასრულებს გამომუშავების ნორმებს. ცუდად არის გამოყენებული მდიდარი ტექნიკა, რომლითაც შეიარაღებულია სატყეო მრეწველობა: მაგალითად, ავტომანქანები გამოყენებულია მხოლოდ 49 პროცენტით, ტრაქტორები — 51 პროცენტით და ორთქლმავლები — 42 პროცენტით. მთელ ამ ნაკლოვანებებში ბრალი მიუძღვის არა მარტო სატყეო მრეწველობის სამინისტროს, არამედ რუსეთის სფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასაც. იგი ჯეროვნად არ მუშაობს ხე-ტყის დამზადებაზე, არ გეგმავს რესპუბლიკის სამინისტროს მუშაობას, არ აჯგენს ტექნიკურად დასაბუთებულ საწარმოო გეგმებს. პარტიული აქტივის კრებების დამახასიათებელი ნიშანია სამეურნეო მშენებლობის მომწიფებული საკითხთა განხილვის მაღალი საქმიანი დონე, სამინისტროებისა და უწყებების მიერ საწარმოთა და მშენებლობათა ხელმძღვანელობის პრაქტიკაში არსებულ ნაკლოვანებათა კრიტიკის კონკრეტულობა, წამოყენებულ წინადადებათა და დასახულ ღონისძიებათა გარკვეულობა. მოსკოვის პარტიული აქტივის კრებაზე ითქვა, რომ დაგეგმვის ნაკლოვანებათა შედეგად მოსკოვის ზოგიერთი საწარმო მთელი გასული წლის მანძილზე რიტმულად ვერ მუშაობდა, ხუსტად იყენებდა არსებულ რეზერვებს. მოიყვანეს ასეთი ფაქტი: საკისართა პირველი სახელმწიფო ქარხნის საწარმოო გეგმაში შესწორებები და შენიშვნები მთელი წლის მანძილზე დაახლოებით 30-ჯერ შეიტანეს. საწარმოო სიმძლავრეთა გაუთვალისწინებლად მიეცა გეგმა საფეიქრო მრეწველობის საწარმოებს. ბუნებრივია, რომ გადაწყვეტილებაში, რომელიც მოსკოვის პარტიული აქტივის კრებამ მიიღო, განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული საგეგმო და სამეურნეო ორგანოების მუშაობის ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, აგრეთვე საწარმოთა და მშენებლობათა შინაგანი რეზერვების გამოყენებას. დედაქალაქის პარტიული აქტივის კრებამ მხურვალედ მოიწონა მოსკოვის მოწინავე საწარმოთა მოწოდება — მოეწყოს სოციალისტური შეჯიბრება 1957 წლის საწარმოო გეგმების ვადამდე შესრულებისათვის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის ახალი საწარმოო წარმატებებით ღირსეულად შეხვედრისათვის.

საგეგმო და სამეურნეო ორგანოების მუშაობის ნაკლოვანებებს მხურვალედ განიხილავენ პარტიული აქტივის სხვა კრებებზეც. ბელორუსიის კომპარტიის აქტივის კრებაზე მწვავედ გაკრიტიკეს წარმოებისა და კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვის მუშაობაში, საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში არსებული ნაკლოვანებები და შეცდომები, რაც ხშირად იწვევდა წარმოების რიტმულობის დარღვევას, იერიშობანასა და მოცდენას, კაპიტალური მშენებლობისათვის ასიგნებული სახსრების დაქსაქსვას, შინაგანი რეზერვების არადამაკმაყოფილებელ გამოყენებას.

ყაზახეთის კომპარტიის პარტიული აქტივის კრებაზე აღინიშნა სერიოზული ნაკლოვანებები და შეცდომები, რომლებიც ანელებენ ეკონომიკის განვითარების ტემპებს. რესპუბლიკაში დაგეგმვა ისე ხორციელდება, რომ არ აწარმოებენ საკმარის ეკონომიურ და ტექნიკურ გაანგარიშებას. იქსაქსება კაპიტალურ მშენებლობაში დაბანდებული სახსრები, ჭიანურდება ახალი დიდმნიშვნელოვანი ობიექტების ამუშავება. მარტო ყაზახეთის ფერადი მეტალურგიის საწარმოებში არ დამთავრებულა მშენებლობა, რომლის ღირებულება ერთ მილიარდ მანეთს აღემატება. ნაკლებად ექცეოდა ყურადღება საცხოვრებელი სახლების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობას. ალმა-ატის აქტივის კრებაზე აღინიშნა, რომ საჭიროა უფრო ფართოდ გამოიყენონ საბინაო მშენებლობაში ლელი, რომელიც რესპუბლიკაში დიდი რაოდენობით მოიპოვება.

რასაკვირველია, პარტიული აქტივის კრებებზე მარტო ნაკლოვანებათა შესახებ როდია ლაპარაკი. კრებების მონაწილენი ლაპარაკობენ აგრეთვე დიდ მიღწევებზე, უმდიდრეს გამოცდილებაზე, რომელიც შეძენილია სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობაში. კრებებზე დიდი ყურადღება ექცევა საბინაო მშენებლობაში მშრომელთა ინიციატივის განვითარებას. მაგრამ ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის სულისკვეთებით აღზრდილი ჩვენი კადრები მთავარ ყურადღებას აქცევენ გადაუჭრელ საკითხებს, ცხოვრების მიერ წამოყენებულ პრობლემებს, სამეურნეო მშენებლობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინური პრინციპის თანმიმდევრული განხორციელების, მასების შემოქმედებითი ინიციატივისა და აქტივობის ყველა ღონისძიებით განვითარების საფუძველზე. დასახეს რა პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობის გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებანი, პარტიული აქტივის კრებებმა დიდი ყურადღება მიაპყრეს აგრეთვე პროფკავშირების ამოცანებს წარმოების შემდგომი აღმავლობისა და მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში.

პასუხსაგები ამოცანების წინაშე, რომლებიც დასახა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, პარტიული აქტივის კრებები ცხადყოფენ პარტიული რიგების მონოლითურ ერთიანობას, იმას, რომ ისინი მზად არიან მთელი თავიანთი ძალები მოახმარონ კომუნისტური მშენებლობის მომწიფებულ საკითხთა წარმატებით გადაჭრას. კრებები მოუწოდებენ პარტიულ ორგანიზაციებს, ყველა კომუნისტს კიდევ უფრო გააძლიერონ თავიანთი ბრძოლისუნარიანობა, ორგანიზებულობა, დისციპლინა, გააძლიერონ პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა მასებში და უმოკლეს ვადაში განახორციელონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი.

„პრავდის“ 12-I მოწინავე.

ტაშკენტს ჩავიდნენ ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი და კ. ე. ვოროშილოვი

ტაშკენტი, 12 იანვარი. (საკდესი). დღეს თვითმფრინავით ტუ-104 ტაშკენტს ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ს. ხრუშჩოვი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი.

ამხანაგების ნ. ს. ხრუშჩოვისა და კ. ე. ვოროშილოვის შესახვედრად ტაშკენტის აეროდრომზე შეიკრიბნენ რესპუბლიკის დედაქალაქის ათასობით მშრომელი, აგრეთვე მოწინავე მებამბეები და მექანიზატორები, რომლებიც ტაშკენტს ჩამოვიდნენ უზბეკეთის ლენინის ორდენით დაჯილდოების გამო ზეიმში მონაწილეობის მისაღებად, აგრეთვე სტუმრები მოძმე რესპუბლიკებიდან.

აეროდრომზე მოვიდნენ უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები მ. ა. აბდურაზაკოვი, ა. ა. ალიმოვი, ა. პ. ბიზოვი, ს. კ. კამალოვი, ა. ა. ლუჩინსკი, მ. მირზა-ახმედოვი, რ. ე. მელნიკოვი, კ. მურტაზაევი, ნ. ა. მუხიტდინოვი, ზ. რ. რახიმბაბაევა, შ. რ. რაშიდოვი, რესპუბლიკის მინისტრები, უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები. შემხვედრთა შორის არიან ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ტ. ულჯაბაევი, ტაჯიკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. დოდხუდოევი, ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჟ. ა. ტაშენევი, თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. დურდიევა, ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. აბდიყულოვი, სომხეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. კ. შეკოიანი, აზერბაიჯანის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი გ. ა. სეიდოვი.

ამხანაგებმა ნ. ს. ხრუშჩოვმა და კ. ე. ვოროშილოვმა ხელი ჩამოართვეს უზბეკეთისა და სხვა რესპუბლიკების პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელებს, შემდეგ ჩამოუარეს საპატიო ყარაულის ფრონტს.

შეკრებილებთან ხანმოკლე საუბრის შემდეგ ამხ. კ. ე. ვოროშილოვი გულთბილად გამოეთხოვა აეროდრომზე მყოფთ და გაემართა თვითმფრინავისაკენ, რომელიც რამდენიმე წუთის შემდეგ კურსს იღებს ალმა-ატისაკენ.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი მიკროფონთან მიდის და მოკლე მისასალმებელი სიტყვით მიმართავს შემხვედრთ.

აეროდრომიდან მთელ გზაში ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვს მხურვალედ მიესალმებოდა რესპუბლიკის დედაქალაქის ათასობით მშრომელი.

ალმა-ატას ჩავიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი

ალმა-ატა, 12 იანვარი. (საკდესი). დღეს ყაზახეთის დედაქალაქს ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი.

აეროდრომზე თვითმფრინავის ჩამოსვლისას შეიკრიბნენ დედაქალაქის მშრომელები.

ამხ. კ. ე. ვოროშილოვს შეხვდნენ ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დ. ა. კუნაევი, ყაზახეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. დ. იაკოვლევი, ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე კ. ნ. კრიუკოვა, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები, ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, მინისტრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, ალმა-ატის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი მიესალმა შემხვედრთ და მიიღო საპატიო ყარაულის პატაკი. შესრულებულ იქნა სსრ კავშირისა და ყაზახეთის სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

გზაში აეროდრომიდან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ათასობით ალმაატელი მიესალმებოდა.

ამხ. კ. ე. ვოროშილოვთან ერთად ჩამოვიდნენ ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჟ. ა. ტაშენევი, რომელიც მის შესახვედრად იყო წასული, აგრეთვე ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. რახმატოვი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

თურქმენეთის სსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს სოფლის მეურნეობის განვითარებაში. რესპუბლიკაში ნედლი ბამბის წარმოება და დამზადება 1956 წელს შეადგენდა 332 ათას ტონას, ანუ 57 ათასი ტონით მეტს, ვიდრე დამზადებული იყო 1955 წელს, და 122 ათასი ტონით მეტს 1940 წლის დამზადებაზე. რესპუბლიკაში წლითიწლობით დიდდება მატყლის, კრაველის, აბრეშუმის პარკის, ყურძნის, ხილისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოება და დამზადება.

ეს წარმატებანი წარმოადგენენ თურქმენეთის სსრ კოლმეურნეების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების, პარტიული და საბჭოთა მუშაკების თავდადებული შრომის შედეგს. რესპუბლიკაში შესრულდა დიდი მუშაობა ბამბის ახალი მეტად ძვირფასი წმინდაბოჭკოიანი ჯიშების გამოყვანის დარგში.

იმ წარმატებებისათვის, რომლებიც მოპოვებულია სოფლის მეურნეობის განვითარებაში, ბამბის წარმოების გადიდებაში, ბამბის მაღალხარისხოვანი წმინდაბოჭკოიანი ჯიშების გამოყვანაში, იმ დიდი მუშაობისათვის, რომელიც შესრულებულია საირიგაციო ნაგებობათა მშენებლობაში, და 1956 წელს ბამბის დამზადების სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის **თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1957 წლის 11 იანვარი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ყირგიზეთის სსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებაში. 1956 წელს დამზადებულია 395 ათასი ტონით მეტი შაქრის ჭარხალი, ვიდრე 1955 წელს, თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 374 ცენტნერი. ბამბის დამზადების სახელმწიფო გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით, თვითეულ ჰექტარზე მოკრეფილია 20,7 ცენტნერი ნედლი ბამბა, ანუ 3,6 ცენტნერით მეტი, ვიდრე 1955 წელს.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გადიდდა აგრეთვე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება, რამაც შესაძლებელი გახადა უკანასკნელ წლებში გადიდებულიყო სახელმწიფოსათვის მატყლის, რძისა და ხორცის ჩაბარება და მიყიდვა.

იმ წარმატებებისათვის, რომლებიც კოლმეურნეებმა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა, პარტიულმა და საბჭოთა მუშაკებმა მოიპოვეს შაქრის ჭარხლის, ბამბისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაში, და 1956 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის **ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1957 წლის 11 იანვარი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მხატვარ ა. ი. ჟმუიძინავიჩიუსისათვის სსრ კავშირის სახალხო მხატვრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სახვითი ხელოვნების დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის მიენიჭოს **სსრ კავშირის სახალხო მხატვრის** საპატიო წოდება მხატვარ ანთანას იონას-ძე **ჟმუიძინავიჩიუსს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1957 წ. 7 იანვარი.

გაიხსნა აჭარის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა

გუშინ თბილისში გაიხსნა აჭარის ასსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში საზეიმო ვითარებაში მოხდა დეკადის მონაწილეთა და დედაქალაქის მშრომელთა პირველი შეხვედრა. მაყურებლით სავსე დარბაზი გულთბილად მიესალმა მსახიობებს, აჭარაში მოღვაწე ქართველ მწერლებს, მხატვრებსა და ხელოვნების სხვა მუშაკებს, რომლებიც აჭარის ასსრ მშრომელებმა თბილისში წარმოგზავნეს დეკადაზე.

სცენაზე გამოდიან დედაქალაქის ლიტერატურისა და ხელოვნების ოსტატები, აჭარის ასსრ ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები. სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვერიკო ანჯაფარიძე თბილისის ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა სახელით გულთბილად მიესალმა აჭარის ასსრ ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებს.

დეკადის მონაწილეთა სახელით სიტყვა სიტყვით გამოვიდა რესპუბლიკის სახალხო არტისტი მ. ხინკაძე. მან აღნიშნა, რომ დეკადა არა მარტო აჭარის ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკების დღესასწაულია, არამედ იგი არის მთელი აჭარის ასსრ მშრომელთა ზეიმი და სიხარული, იგი არის შეჯამება იმ დაძაბული და შემოქმედებითი შრომისა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების წლებში დიადი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გასწიეს აჭარის ასსრ მშრომელებმა მშობლიური ქართული კულტურის აღმავლობისა და აყვავებისათვის. დეკადა ამავე დროს იქნება ნაკლოვანებათა გამოვლინების, მათი გამოსწორებისა და შემოქმედებითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების სერიოზული ღონისძიება.

დიდხანს არ დამცხრალა ტაში და ოვაცია დეკადის მონაწილეთა პატივსაცემად.

დაიწყო სპექტაკლი. ბათუმის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა მაყურებელს უჩვენა ვ. კანდელაკის ჰეროიკული კომედია „მაია წყნეთელი“. მაყურებელმა სპექტაკლი გულთბილად მიიღო.

* * *

მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ფოიეში გახსნილია აჭარის ასსრ მხატვრების ნაწარმოებთა გამოფენა. ფერწერა წარმოდგენილია გ. მეგრელიძის, შ. ზამთარაძის, შ. ხოლუაშვილის, ა. ენგურიანის, ა. ეფტეევის, ი. ეფრემოვის, ნ. პელიპენკოს, ა. პოგოდინის, ვ. რუდის, გ. სეჩენიანის, ს. ტაკიძის, ვ. ტროფიმოვისა და დ. ჯვარშეიშვილის ნაწარმოებებით. გრაფიკულ ნაწარმოებთა შორის ყურადღებას იპყრობს დ. იმნაშვილის, ა. მესხის, გ. სეჩენიანის, ვ. ტროფიმოვის, მ. ჩარგეიშვილის და შ. ხოლუაშვილის ნახატები. ქანდაკება წარმოდგენილია მ. ბოლქვაძის, ტ. ჭანტურიის, ვ. კვერნაძის ნამუშევრებით.

ექსპონირებულია აგრეთვე ა. ფილიპოვის თეატრალური დეკორაციების ესკიზები.

სატელევიზიო სტუდიაში

აჭარის ასსრ ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები პირველად 11 იანვარს გააცნო დედაქალაქის მშრომელებს თბილისის სატელევიზიო სტუდიამ.

ტელევიზორის ეკრანზე აჩვენეს კინოქრონიკის მიერ გადაღებული დოკუმენტური მცირემეტრაჟიანი ფილმი, რომელიც ასახავდა იმ გულთბილ შეხვედრას, რაც 10 იანვარს თბილისელმა მშრომელებმა ვაგზალში გაუმართეს აჭარის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის მონაწილეებს.

აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კულტურის მინისტრი ვ. ახვლედიანი ტელემაყურებლებს ესაუბრა იმ წარმატებებზე, რომლებიც მოიპოვეს აჭარის ასსრ მშრომელებმა სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობისათვის გაჩაღებულ პატრიოტულ შრომაში.

ახალი ლექსები წაიკითხეს აჭარაში მომუშავე ქართველმა პოეტებმა ნესტორ მალაზონიამ და ფრიდონ ხალვაშმა. ხალხურმა მთქმელმა თ. ქათამაძემ შეასრულა სიმღერა მშვიდობაზე.

როგორც ცნობილია, აჭარის სახელმწიფო დრამატული თეატრი დეკადის დღეებში თბილისელ მაყურებლებს უჩვენებს ახალ დადგმას შექსპირის „ჰამლეტს“. ჰამლეტის მონოლოგი შესანიშნავად წაიკითხა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა მ. ხინკაძემ. რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ი. კობალაძემ და აჭარის ასსრ დამსახურებულმა არტისტმა გ. ახვლედიანმა წარმოადგინეს ნაწყვეტი სოფოკლეს ტრაგედიიდან „ოიდიპოს მეფე“.

ცნობილი ხალხური მხედრული ცეკვა „ხორუმი“ შეასრულეს ო. ირემაძემ და მ. გოინგაძემ. თ. მელაძემ მოხდენილად შეასრულა ცეკვა „განდაგან“.

დეკადის დღიური

დღეს, 13 იანვარს, მარჯანიშვილის სახელობის თეატრში გაიმართება აჭარის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტი.

პირველ განყოფილებაში მაყურებელი მოისმენს სიმღერებს თბილისზე, საქართველოზე, აჭარაზე, ბათუმზე, ქართულ-ხალხურ სიმღერას „შვიდკაცას“, უკრაინულ სიმღერას „ჰანძიას“; ნახავს ცეკვებს — ხორუმს, დავლურს ქართულით, გადაბეული ხორუმს, უკრაინულ ცეკვას.

მეორე განყოფილებაში ქართულ-ხალხურ სიმღერებთან და ცეკვებთან ერთად წარმოდგენილი იქნება რუსული, აზერბაიჯანული, სომხური, ჩეხური, რუმინული ხალხური სიმღერები და ცეკვები.

კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ აჭარის ასსრ საუკეთესო მომღერლები და მოცეკვავეები.

ანსამბლის მხატვრული ხელმძღვანელია აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი მ. ჩხიკვიშვილი, ფორეოგრაფი — აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი ე. ხაბაძე, დირიჟორი მ. კილაძე, კონცერტმეისტერი ე. დერკაჩი. პროგრამის წამყვანია აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი პ. ინწკირველი.

14 იანვ

რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე

ჩამორჩენილი კოლმეურნეობები წამოვწიოთ მოწინავეთა დონემდე

თბილისის გარეუბნის რაიონის კომუნისტები მნიშვნელოვანი მიღწევებით შეხვდნენ რაიონულ პარტიულ კონფერენციას. თვალსაჩინო წარმატებებია მოპოვებული პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში. გასულ წელს რაიონის კოლმეურნეობებმა გეგმით გათვალისწინებული 10,1 ცენტნერის ნაცვლად საშუალოდ ჰექტარზე 11,55 ცენტნერი მარცვლეული მიიღეს. თავთავიანი მარცვლეული კულტურების კარგი მოსავალი მოიყვანეს კუმისის, თელეთის, ავჭალის, გლდანის, ნორიოს, მარტყოფის კოლმეურნეობებმა. საგრძნობი წარმატებებია მოპოვებული მეცხოველეობაშიც. მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობის წლიური გეგმა შესრულებულია 110,5 პროცენტით, მათ შორის ძროხისა—101,6, ცხვრისა—107,4, ღორისა—110,2 პროცენტით. ამაღლდა მეცხოველეობის პროდუქტიულობა. 1956 წელს საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებულია 1.391 ლიტრი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.236 ლიტრისა.

ილაპარაკეს რა ამ წარმატებებზე, მომხსენებელმა — რაიკომის მდივანმა ამხ. დ. გელაშვილმა და კამათის მონაწილეებმა, ამასთან ერთად გააკრიტიკეს სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობაში არსებული ნაკლოვანებანი. აღინიშნა, რომ რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფები მტს-ების ზონების მიხედვით, პარტიის რაიკომი ჯერ კიდევ ნაკლებად ეხმარებიან კოლმეურნეობათა გამგეობებს, პარტიულ ორგანიზაციებს შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებაში.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკები მეცხოველეობის ფერმებში, ვენახებსა და ბაღებში სუსტად ახორციელებენ კომპლექსურ მექანიზაციას. 1956 წელს ბოსტნეულის განსაკუთრებით დაბალი მოსავალი მიიღეს დიღმის, ავჭალის, ტაბახმელის, კიკეთის, წყნეთის, ლილოს კოლმეურნეობებმა. ასევე დაბალია კარტოფილის მოსავლიანობა.

გლდანისა და დიღმის კოლმეურნეობებს ერთგვარ პირობებში უხდებათ მუშაობა. მაგრამ იმის გამო, რომ გლდანში მევენახეობა-მებაღეობას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ, სოფლის მეურნეობის ეს დარგები კოლმეურნეობაში ყველაზე შემოსავლიანია. დიღმის კოლმეურნეობას მრავალი ჰექტარი ვენახი აქვს, მაგრამ ვაზს აქ ცუდად უვლიან და ამის გამო ყოველწლიურად ყურძნის ძალიან მცირე მოსავალს იღებენ. მევენახეობის განვითარებისათვის სუსტად ზრუნავენ თელეთის, ლილოს, კუმისის, ლისის კოლმეურნეობებშიც.

კამათის მონაწილე დელეგატებმა გააკრიტიკეს „სამგორწყალმშენის“ უფროსი შ. გიორგაძე გლდანსა და ლილო-მარტყოფში სარწყავი არხების მშენებლობის გაჭიანურებისათვის.

როგორც მომხსენებელმა, ისე კამათის მონაწილეებმა დიდი ყურადღება დაუთმეს პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას, რომელიც სამეურნეო წარმატებათა საფუძველს წარმოადგენს. აღინიშნა, რომ ბევრი პარტიული ორგანიზაცია უნარიანად ხელმძღვანელობს კომუნისტების პოლიტიკურ სწავლებას, მაგრამ ყველგან ასე როდია საქმე. ზოზიერთ პარტიულ ორგანიზაციაში თვითდინებაზეა მიშვებული პარტიული განათლების საქმე. კრწანისის საბჭოთა მეურნეობის, წყნეთის კოლმეურნეობის, რკინიგზის სოღანლუღის სადგურის პარტიულ ორგანიზაციებთან არსებულ პოლიტსკოლებსა და წრეებში ხშირია მსმენელთა მიერ მეცადინეობის უმიზეზოდ გაცდენის შემთხვევები. კოჯრის და ავჭალის რუსული საშუალო სკოლების პარტიულ ორგანიზაციებში პოლიტიკურ თვითგანათლებაზე მომუშავენი დღემდე არ შესდგომიან მეცადინეობას. არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული საგიტაციო მუშაობა დიღმის, წყნეთის, მარტყოფის კოლმეურნეობებში.

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. კორახაშვილმა და ნორიოს საოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. შომიაშვილმა თავიანთი გამოსვლები მიუძღვნეს სოფლების კეთილმოწყობისა და კოლმეურნეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საკითხებს.

კომკავშირის რაიკომის მდივანმა ე. ბადრიძემ აღნიშნა, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაციები და პარტიის რაიკომი საკმაო დახმარებასა და ხელმძღვანელობას აწევენ კომკავშირულ ორგანიზაციებს. შემდეგ იგი შეეხო ახალგაზრდობის შრომისადმი სიყვარულის სულისკვეთებით აღზრდის საკითხს და განაცხადა:

— ხშირად ვხვდებით ისეთ ფაქტებს, როცა კოლმეურნეობების ხელმძღვანელ მუშაკთა ოჯახის წევრები საზოგადოებრივ შრომას თავს არიდებენ. მარტყოფის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირის ს. ხუციუნაშვილისა და კომფონისტ ვ. ბანეთიშვილის, ნორიოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირის ა. მამნიაშვილის შვილები, რომლებმაც საშუალო სკოლები დაამთავრეს ორი წლის წინათ, დღემდე არავითარ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას არ ეწევიან.

ნორიოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ე. დანელიამ, გლდანის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. აბოიანცმა ილაპარაკეს საკოლმეურნეო მეცხოველეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების განვითარების ღონისძიებებზე.

მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მუშაობის შესახებ კონფერენციის მონაწილეებს მოუთხრო ამავე ინსტიტუტის დირექტორმა გ. აბესაძემ.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. გ. ა. გეგეშიძემ.

* * *

შედგა ახლად არჩეული რაიონული კომიტეტის პლენუმი, რომელმაც პარტიის გარეუბნის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია დ. გელაშვილი, მეორე მდივნად — ი. მირიანაშვილი, მდივნად — ვ. ზურაბიშვილი, რაიკომის მდივნებად: თელეთის მტს-ის ზონაში — ბ. სონღულაშვილი, მარტყოფის მტს-ის ზონაში — ლ. ბუხრაშვილი.

ს. ნარიმანიძე,
გარეუბნის რაიონული გაზეთის „სტალინის დროშის“ რედაქტორის მოადგილე.

ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის ავტომობილმშენებელი ქარხნის ნოვატორი ხარატი ა. აგაპოვი, რომელიც დღიურ ნორმებს ორმაგად ასრულებს.

ფოტო ი. საკუნისა.

სოფლკორებს გვწერენ

გაზეთებს დაგვიანებით ვიღებთ

კასპის რაიონის ახალქალაქის საოფლო საბჭოში გაზეთების დაგვიანებით დარიგებამ სისტემატური ხასიათი მიიღო. მაგალითად, პარასკევის გაზეთი აქ ორშაბათობით მოდის, შაბათისა — სამშაბათობით, კვირისა — ოთხშაბათობით და ა. შ.

ეს მდგომარეობა გამოწვეულია იმით, რომ თბილისიდან გაზეთები იგზავნება დილით ბორჯომის მატარებლით, მაგრამ რადგანაც იგი მეტეხში არ ჩერდება, კასპში ტოვებს მეტეხის ფოსტას, კასპიდან ფოსტა ქუთაისის მატარებლით გორში იგზავნება, აქედან კი ახალციხის მატარებლით უკანვე მეტეხში ბრუნდება.

ასეთი წინ და უკან „ხეტიალის“ შემდეგ გაზეთები მეტეხში დიდი დაგვიანებით მოდის. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ახალქალაქის ფოსტა 5-6 სოფელს ემსახურება და სანამ ამანათებს გადაარჩევენ და სოფლებში გაგზავნიან, კიდევ ერთი დღე გადის, ასე რომ კვირის გაზეთები მკითხველებამდე ძლივძლივობით ოთხშაბათს აღწევს.

ახალ გაზეთებს რკინიგზის სადგურებში ასეთი „ხეტიალი“ აღარ დასჭირდება და ახალქალაქის მოსახლეობა დროულად მიიღებს, თუ ისინი თბილისიდან გორის პირველი მატარებლით გამოიგზავნება დილის ცხრა საათზე.

ამ საკითხს ყურადღება უნდა მიაქციოს „სოიუზპეჩატამ“.

ნ. იტრიევი.

მოქვეჰესი დაუგვირთავად მუშაობს

ოჩამჩირის რაიონის 21 კოლმეურნეობა აშენებდა მოქვეჰესს. მათ ამ კეთილშობილური საქმისათვის დიდი შრომა და 5 მილიონი მანეთი დახარჯეს. ჰესის მწყობრში ჩაყენების შემდეგ მისი მშენებლები — კოლმეურნეები მოელოდნენ, რომ მათი ოდასახლები ილიჩის ნათურებით განათდებოდა და ელექტროდენს მიიღებდნენ პირუტყვის ფერმებში, წისქვილებსა და სახერხ ქარხნებში, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში. მაგრამ ასე როდი მოხდა.

მოქვეჰესი უკვე მრავალი წელიწადია მუშაობს, მაგრამ ამ მძლავრი ჰესით მხოლოდ ორი კოლმეურნეობა — მოქვის მალენკოვის სახელობისა და ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობები სარგებლობენ.

ამრიგად, მოქვეჰესი დატვირთულია მხოლოდ 10-15 პროცენტით, ტყუილ-უბრალოდ იკარგება ასობით ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია, რაც ჰესს შეუძლია გამოიმუშაოს.

ეს ხდება იმ დროს, როდესაც ჰესის მშენებელი კოლმეურნეობები დიდად საჭიროებენ ელექტროენერგიას. ამის მიზეზი ის არის, რომ მრავალი წლის განმავლობაში კოლმეურნეობებს ვერ მოუგვარებიათ ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა მოქვეჰესიდან სოფლამდე. ამავე დროს კოლმეურნეობებს ყველა შესაძლებლობა აქვთ იმისათვის, რომ გადამცემი ხაზები მოაწყონ. მაგალითად, სოფელ კოჩარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ამ ბოლო დროს მრავალი კაპიტალური ნაგებობა ააგეს. მარტო კოლმეურნეობის გამგეობის ორსართულიანი შენობის ასაგებად კოლმეურნეობამ 1,2 მილიონი მანეთი დახარჯა, ელექტროგადამცემი ხაზის გასაყვანად საჭირო თანხა კი ვერ გაიმეტეს.

ამ საქმისადმი ასეთსავე უყურადღებობას იჩენენ სოფელ ჭლოტს სტალინის სახელობისა და ვოროშილოვის სახელობის, სოფელ ჭალის სტალინის სახელობის, სოფელ თხინის ანდრიეევის სახელობისა და სხვა კოლმეურნეობათა გამგეობები.

მ. ჭოჭუა,
ოჩამჩირის რაიონული სტამბის დირექტორი.

არ დავუშვათ წველადობის შემცირება, განვაწყვეტვლივ ვზარდოთ მეცხოველეობის პროდუქტიულობა

ცუდი დასაწყისი

— ჩვენი რაიონის კოლმეურნეობებმა მეცხოველეობის განვითარებისათვის კარგად იმუშავეს. ამის შედეგია, რომ გასულ სამეურნეო წელს წველადობის დავალება გადამეტებით შეეასრულეთ. თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიღებულია 882 კილოგრამი რძე, გეგმა კი 825 კილოგრამს ითვალისწინებდა, — ასე ამბობენ სხდომებზე, თათბირებსა და კრებებზე, პარტიის ყვარლის რაიკომში, რაიონული საბჭოს აღმასკომსა და მტს-ებში, ასე წერს სისტემატურად რაიონული გაზეთიც.

მართალია, წინა წლებთან შედარებით წველადობა მკვეთრად გადიდდა, მაგრამ წარმატებათა მაუწყებელ საშუალო ციფრებს უკან ბევრი რამ უარყოფითი იმალება. აი ზოგიერთი ფაქტი: ალმატის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე თ. გზირიშვილი) გეგმის გადამეტებით დიდძალი რძე მიიღო, მაგრამ ალმატელებს დიდად ჩამორჩა საბუის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ს. ჭაბუკიანი), რომელმაც წველადობის დავალება მხოლოდ 86 პროცენტით შეასრულა. წველადობის დავალება არ შეუსრულებიათ ბალღოჯიანის, ჭიკაანის და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებს.

ზოგიერთ კოლმეურნეობაში წველადობის მაჩვენებელი ეჭვს ბადებს. მთისძირის ი. ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ნ. ჯაფოშვილი) გასული წლის სექტემბერში თვითეულ ძროხაზე 156 კილოგრამი რძე მიიღო. ოქტომბერში კი 65 კილოგრამზე მეტი რძე ვერ მიიღეს. ასევე დიდი სხვაობაა სექტემბერსა და ოქტომბერში მოწველილი რძის ოდენობაში საბუის კიროვის სახელობის, ყვარლის სტალინის სახელობის, შაქრიანის მეორე პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობებში. რა მოხდა? ოქტომბერიც ხომ წველადობისათვის მეტად ხელსაყრელი თვეა?

მეცხოველეობაში ახალი სამეურნეო წლის პირველი ორი თვის მაჩვენებლებს გავეცანით და დავრწმუნდით, რომ ყვარლის რაიონში წველადობის გადიდების საქმეში სერიოზული ნაკლოვანებებია. ენისლის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობამ ოქტომბერსა და ნოემბერში თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 52 კილოგრამი რძე მიიღო. ეს გასული წლის ამავე თვეებში მიღებულთან შედარებით 160 კილოგრამით ნაკლებია. ალმატის კოლმეურნეობაში წველადობა 119 კილოგრამით შემცირდა, შაქრიანის კოლმეურნეობაში — 80 კილოგრამით, კუჭატნის კოლმეურნეობაში — 77 კილოგრამით და ა. შ.

წველადობაში სამარცხვინო ჩამორჩენა იმან გამოიწვია, რომ კოლმეურნეობებში პირუტყვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის არ იზრუნეს. წელს უხეში საკვების დამზადების გეგმა 75 პროცენტით შესრულდა. მთისძირის ი. ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობას საჭირო უხეში საკვების 22 პროცენტზე მეტი არა აქვს. ახალსოფლის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობას უხეში საკვების დამზადების დავალება შესრულებული აქვს 35 პროცენტით, ბალღოჯიანის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერს“ — 49 პროცენტით. რაიონში ვერ შეასრულეს სილოსის დამზადების გეგმა, დააკლდათ ორი ათასი ტონა.

სოფელ ჭიკაანის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობას რაიონში თითქმის ყოველთვის ქებით იხსენიებენ. აქებენ მის თავმჯდომარეს ამხ. შ. მანძულაშვილსაც. მართლაც, უკანასკნელ ორ წელიწადში ჭიკაანელები დაწინაურდნენ. მარცვლეულის მოსავალი უხვი მოჰყავთ, ყურძნის მოსავლიანობაც გაადიდეს, მაგრამ ცუდია ის, რომ მეცხოველეობის აღმავლობისათვის ბევრს არაფერს აკეთებენ. მსხვილფეხა რქიანი მოზრდილი პირუტყვისათვის დიდი და კარგი ბინები ააგეს, მაგრამ შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისათვის დღემდე არაფერი გაუკეთებიათ, ფერმაში ავტომატური სარწყულებლების მოწყობაც კი ვერ მოახერხეს, არ იცავენ კვების რაციონს, ყველა პირუტყვს ერთნაირად კვებავენ.

ჭიკაანელებს 650 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი ჰყავთ. მათ დიდძალი საკვები სჭირდებათ, მაგრამ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. შ. მანძულაშვილმა საკვებმოპოვების ბრიგადის შექმნა რატომღაც ზედმეტად ჩათვალა. ამის შედეგია, რომ კოლმეურნეობაში არც ერთი სახის საკვების დამზადების გეგმა არ შესრულებულა. აკლიათ 400 ტონა სილოსი, 500 ტონა საკვები ძირხვენები და სხვ. ამიტომ არის, რომ ორას სულ ძროხაზე დღეში მხოლოდ 250-300 კილოგრამ რძეს იღებენ და ორ თვეში საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებულია 72 კილოგრამი რძე.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ყვარლისა და ენისლის მტს-ების დირექტორები ი. მესტვირიშვილი და ე. ლომოური ცოტას აკეთებენ მეცხოველეობის წინ წასაწევად. ამის დასადასტურებლად ბევრი ფაქტის დასახელება შეიძლება, მაგრამ აქ მოვიყვანთ ერთს — დღემდე მეცხოველეობის არც ერთ ფერმაში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია არ განუხორციელებიათ.

პირუტყვის მოვლა-პატრონობის საქმეში დაუდევრობისა და უპასუხისმგებლობის სხვა ფაქტებიც ბევრია. პარტიის ყვარლის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა ქმედითი ღონისძიებები უნდა განახორციელონ კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის მძლავრი აღმავლობისათვის.

ს. ძოწენაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მუშაობა შეასუსტეს, წველადობამ იკლო

პირუტყვს მოვლა-პატრონობა არ აკლდა, ზამთარ-ზაფხულ საკმაოდ ჰქონდა საკვები. მეცხოველეები თავიანთ მუშაობაში დროულად ნერგავდნენ ყოველივე ახალსა და პროგრესულს, ერთი სიტყვით, ჩქეფდა შრომა, და გასული სამეურნეო წელი წარმატებით დაამთავრეს ჩოხატაურის რაიონის მეცხოველეებმა.

მოსალოდნელი იყო, რომ დროულად დაიწყებდნენ ბრძოლას ახალ სამეურნეო წელს უფრო მნიშვნელოვან წარმატებათა მოპოვებისათვის, მაგრამ ასე არ მოხდა, მიღწეულით დაკმაყოფილდნენ, მუშაობა შეასუსტეს და სერიოზულადაც ჩამორჩნენ.

თუ მეცხოველეობაში გასული სამეურნეო წლის ოქტომბერში ერთ საფურაჟე ძროხაზე 50,3 ლიტრი რძე მიიღეს, მიმდინარე სამეურნეო წლის იმავე თვეში წველადობამ საგრძნობლად იკლო. საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე მხოლოდ 36 ლიტრი რძე მიიღეს. ჩამორჩენა ნოემბერშიც გაგრძელდა. კოლმეურნეობებმა საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე 18 ლიტრით ნაკლები რძე მიიღეს, ვიდრე წინა წლის ნოემბერში.

ცუდი მდგომარეობაა პირუტყვის მოვლა-პატრონობისა და წველადობის საქმეში ზემო ხეთის კოლმეურნეობაში. მიმდინარე სამეურნეო წლის ოქტომბერში ერთ საფურაჟე ძროხაზე მხოლოდ 16 ლიტრი რძე მიიღეს, მაშინ როცა გასულ წელს 33 ლიტრი იქნა მიღებული. ამ კოლმეურნეობაში კეთილმოუწყობელია სადგომები. მერძეული პირუტყვი დაჯანდაკებულია, ფერმა დაკომპლექტებული არ არის საქმის მცოდნე, გამოცდილი მუშაკებით. საკმო რაოდენობით არა აქვთ საკვები. 190 ტონის ნაცვლად 90 ტონა სილოსი ჩადეს, 1.499 ცენტნერი უხეში საკვების ნაცვლად კი დამზადებულია მხოლოდ 231 ცენტნერი.

პირუტყვისათვის საკვები ბაზის შექმნაში ანალოგიური მდგომარეობაა ვანის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ი. თავაძე, ფერმის გამგე გ. მახარაძე). აქ 1.051 ცენტნერი თივის ნაცვლად 400 ცენტნერი დაამზადეს, 2.542 ცენტნერი უხეში საკვების ნაცვლად 740 ცენტნერი, ხოლო სილოსის ჩადება სრულიად დაავიწყდათ. ამის გამო გასული სამეურნეო წლის შესაბამის თვეებთან შედარებით მიმდინარე სამეურნეო წლის ოქტომბერ-ნოემბერში წველადობამ ერთ საფურაჟე ძროხაზე 18 ლიტრით დაიკლო.

ბევრად უკეთესი მდგომარეობა არც ბასილეთის კოლმეურნეობაშია (თავმჯდომარე ზ. ნანაძე, ფერმის გამგე შ. ჯაში), სადაც გასული სამეურნეო წლის ოქტომბერში ერთ ძროხაზე 40 ლიტრი რძე მიიღეს, მიმდინარე წლის ამავე თვეში კი წველადობა 17 ლიტრამდე შემცირდა. ნოემბერში კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა. კოლმეურნეობის გამგეობა თავს არ იწუხებს ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის. სადგომები უვარგისია. სანახევროდაც არ არის შესრულებული უხეში და წვნიანი საკვების დამზადების დავალება.

მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის ასევე ცუდად მუშაობენ საჭამიასერის, იანეულის, ბუქსიეთის კოლმეურნეობებში.

რაიონში ყველა პირობაა საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის. აქ კარგი ბუნებრივი საკვებია. შესანიშნავი საზაფხულო და საზამთრო საძოვრები აქვთ. თუ სათანადო მზრუნველობას გამოიჩენენ, თავისუფლად შეიძლება მიღწეულ იქნას მერძეული მესაქონლეობის მაღალპროდუქტიულობა. ამაზე მეტყველებს შარშანდელი გამოცდილება. ამასვე ადასტურებს მოწინავე სასოფლო-სამეურნეო არტელების — გორაბერეეოულის, დაბლაციხის, ქვემო ერკეთის კოლმეურნეობათა გამოცდილება. ამ კოლმეურნეობებმა წველადობის გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს და ამჟამადაც კარგი მაჩვენებლები აქვთ. მაგრამ რაიონის მეტ წილ კოლმეურნეობებში მათს მაგალითს არ ბაძავენ.

რაიონის პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა მკვეთრი ზომები უნდა განახორციელონ ჩამორჩენის დაძლევისათვის, უზრუნველყონ რძის წარმოების შემდგომი ამაღლება.

ბ. ჩხაიძე,
ბ. შეწირული,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

18 ტონა ღორის ხორცი 1958 წლის ანგარიშში

პარტიის XX ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებას და მისი პროდუქტიულობის ამაღლებას, ვინაიდან იგი იძლევა შესაძლებლობას მნიშვნელოვნად გავადიდოთ კოლმეურნეობათა შემოსავალი, გავაუმჯობესოთ კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობა და უზრუნველვყოთ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მომარაგება ხორცით, რძითა და სხვა პროდუქტებით. კოლმეურნეობებმა და მტს-ებმა ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების ვადამდე განხორციელებისათვის.

ამ მხრივ აღსანიშნავია წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ნ. მამაიაშვილი) მუშაობა. კოლმეურნეობამ შარშან გადაჭარბებით შეასრულა მარცვლეულისა და ყურძნის მოსავლიანობის გეგმა, მნიშვნელოვნად გაადიდა მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

ერთ საფურაჟე ძროხაზე მიღებულია 1.940 ლიტრი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.200 ლიტრისა, ჰექტარ სრულმოსავლიან ვენახზე მოყვანილია 77 ცენტნერი ყურძენი ნაცვლად 55-ისა. კოლმეურნეობამ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია ნამატის შენარჩუნების საქმეში. ყოველ 100 ცხვარზე უნდა მიეღოთ 90 ბატკანი. ეს დავალება 100 პროცენტით არის შესრულებული, ხოლო ყოველ 100 სულ ძროხასა და ფურკამეჩზე მიღებულია 97,1 ხბო და ზაქი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 90-ისა, მნიშვნელოვანი გადაჭარბებით არის შესრულებული გოჭების გაზრდის გეგმა. კოლმეურნეობამ გასულ წელს გაასუქა 546 ღორი ნაცვლად ვალდებულებით გათვალისწინებული 530-ისა. თვითეული ღორის საშუალო ცოცხალმა წონამ 75 კილოგრამს მიაღწია. ყოველივე ამის შედეგად გასულ სამეურნეო წელს კოლმეურნეობამ სახელმწიფოსათვის ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. სავალდებულო და თავისუფალი შესყიდვის სახით სახელმწიფოს ჩააბარა 797 ტონა რძე, რაც 47 ტონით აღემატება გეგმით გათვალისწინებულს. გადამეტებით შეასრულა ხორცის ჩაბარების 1956 წლისა და 1957 წლის გეგმები. მარტო მიმდინარე წლის გეგმით სახელმწიფოს ჩააბარა 329 ტონა ხორცი. 1958 წლის ანგარიშში უკვე ჩაბარებულია 18 ტონა ღორის ხორცი.

ნაყოფიერი შრომის შედეგად გაიზარდა კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი, რამაც 8 მილიონ მანეთს მიაღწია, ამაღლდა კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობა.

(„კომუნისტის“ კორ.).



სურათზე: გასასუქებლად დაყენებული ღორები ავტოსაკვებურებთან.

ფოტო ე. გველუკაშვილისა.

საქართველოს საზღვაო კარი



ფოთი. მარგანეცის გადატვირთვა რკინიგზის ვაგონებიდან გემზე. ფოტო გ. ათაბეგოვისა.

* * *

ჭირვეული და ცვალებადია შავიზღვისპირეთის ზამთარი. სულ ცოტა ხნის წინათ თოვლისაგან გადათეთრებული იყო მიდამო. ყინვას დაეთრთვილა ხეებიც ქალაქის პარკში, პორტალური ამწეების ლითონის ფერმებიც ნავსადგურში. ახლა კი თოვლის ნაცვლად — თოვლ-წყალია. ზღვიდან მონაბერი თბილი, ნესტიანი ქარი ზუზუნებს ამწეების ფერმებში, ხომალდთა ანძების ვანტებზე, ქალაქისაკენ ერეკება თბომავალთა კვამლის ბოლქვებს.

ახლა ფოთის ნავსადგურის მუშაკებს გახურებული მუშაობის დღეები აქვთ. ზამთარმა გააძნელა ნორმალური ნავიგაცია, ტვირთების მთელი ნაკადი, რომელიც ჩვეულებრივ ნოვემბრის-ბოლოსა და ყირამის სანაპიროებისაკენ მიდის, ახლა მოაწყდა ფოთს — საქართველოს საზღვაო კარს.

არის ისეთი დღეები, როცა ფოთში გემები ზედიზედ, თითქმის უწყვეტ ხაზად არიან ჩამომდგარი და ლოცმანები ძლივს ასწრებენ ახალი ხომალდების შემოყვანასა და გაყვანას.

აი ახლაც ნავმისადგომთან თეთრად აღმართული დიდი სამგზავრო თბომავალი „ლენინგადი", რომელ-ც ჩვეულებრივად რეგულარულ რეისებს ახდენს ოდესა-სოჭი-ბათუმის მარშრუტით. მის უკან მოჩანს სატვირთო გემი „ბელორუსია", შორს კი, საექსპორტო ნავმისადგომთან წამომართულა საოკეანო ხომალდი „ივანე პავლოვი". სამი მძლავრი ამწე უკვე რამდენიმე დღეა მისი ტრიუმიდან ეზიდება ასობით გატენილ ტომარას. ამ ტომრებში ბრინჯია შორეული ინდოეთიდან. მისმა ეკიპაჟმა გადალახა რამდენიმე ოკეანე და ზღვა, სძლია ზამთრის მკაცრი ქარიშხალი, რომელიც ტრობიკულ მხარეებშიც კი ბობოქრობდა. მეზღვაურები „ივან პავლოვის" კაპიტანის ამხ. დონდუას ხელმძღვანელობით თავდადებით იბრძოდნენ ტვირთის დაცვისა და პროდუქციის ხარისხის შენარჩუნებისათვის, ოსტატურად უვლიდნენ გვერდს იმ რიფებს, სადაც ჩანაიფელ მეკობრეთა ბანდები დაძრწიან. გრაფიკზე რამდენიმე დღით ადრე ჩამოდგა ეს ხომალდი ფოთის ნავმისადგომში. ფოთელი მტვირთავები თავის მხრივ ყველა ღონეს ხმარობენ, რომ სწრაფად დაცალონ გემის ტრიუმები.

ტრიუმებიდან ამოტანილი ტომრები ამწეებს შეაქვთ პირდაპირ ვაგონებში, რომლებიც იქვე, გემმისადგომთან, ხომალდის გემბანთან დგანან. რკინიგზის რელსების პირაპირებზე ოდნავ ახმიანდება მატარებლის დატვირთული შემადგენლობა და გაუდგება გზას, მის ადგილზე კი სამანევრო ორთქლმავალი ცარიელი ვაგონების გრძელ მწკრივს ჩამოაყენებს.

„ივანე პავლოვის" გვერდით საზღვარგარეთ დანიშნული გემი „ლუდვიგსპურგი" დგას. მას ცლიან. ამწეთა ფოლადის მკლავებს მსუბუქად ამოაქვთ უზარმაზარი, მრავალტონიანი ყუთები წარწერით: „ტექნოიმპორტი. ფრთხილად. არ გადააბრუნოთ!". ეს — ნავსადგურში ჩამოვიდა საფეიქრო მრეწველობის მოწყობილობა. მალე ხომალდი მარგანეცით დაიტვირთა და ნავსადგურიდან გავიდა.

ნავმისადგომის გასწვრივ მჭიდროდ დგანან ხომალდები. აი ის, წყალში ღრმად ჩამჯდარი გემი „ილია მურომეცი", გვერდით კი დგანან „სერგეი ბოტკინი" და „ნიკოლაი პიროგოვი", რომლებიც საბჭოთა კავშირისათვის. შემდეგ მოსდევენ „კურგანი", „ნოგინი". აქვე, სადასპეტჩერო კოშკრას მოშორებით ჩამომდგარან ზომით მომცრო, მაგრამ თავიანთი ეკიპაჟებით სახელგანთქმული ბუქსირები „ორშა" და „ჩაიკა", მათმა მეზღვაურებმა გმირულად გადაარჩინეს საბერძნეთის ხომალდი „ადრიატიკა", რომელსაც ზღვაზე უბედურება შეემთხვა. ამ ბუქსირების გუნდებმა, მათმა კაპიტნებმა ვახტანგ ჩხაიძემ და ვარლამ ბუკიამ ფოთის ნავსადგურის უფროსის მოადგილის გიორგი ვატაევის ხელმძღვანელობით დიდი შეუპოვრობა, უბადლო ვაჟკაცობა გამოიჩინეს, რომ ბერძენ მეზღვაურებს დახმარებოდნენ.

ჩქეფს მუშაობა ნავსადგურში. ამწეთა ლითონის ხორთუმები ხან აიპრებიან ზამთრის ნაცრისფერ ცაში, ხან ღრმად ჩაეშვებიან ხომალდის ტრიუმებში, დაკრიან დატვირთული ავტომანქანები, ნავმისადგომს სერავენ სწრაფი და მოძრავი ავტომტვირთავები, ამწეთა თაღუბქვეშ გამაფრთხილებელი სიგნალებით დაღიან სამანერო ორთქლმავლები. ხომალდებიდან გადმოაქვთ ბრინჯი, ტყავი, ფვანსშირი, ხორბალი, მატყლი. იზრდება შაქრით სავსე ტომრების პირამიდები. ნავმისადგომიდან კი ტრიუმებში ჩადის მარგანეცი, ცემენტი, ბამბა...

ჯერ არასოდეს არ ყოფილა ფოთის ნავსადგურში უცხოთის. იმდენი გემი, რამდენიც ამ შემოდგომაზე და ზამთარში. იმ ხომალდებს გვერდით, რომლებზეც ფრიალებს ჩვენი ქვეყნის ალისფერი ალმები, დგანან ხომალდები ინგლისისა და იტალიის, თურქეთისა და საფრანგეთის, შვეიცარიისა და იუგოსლავიის, საბერძნეთისა და დანიის სახელმწიფოთა ალმებით. აქ მოდიან გემები დასავლეთ გერმანიის ნავსადგურიდან და შორეული პანამის ნაპირებიდან. ცოტა ხნის წინათ კი დაიტვირთა გემი „ვიკი". ეს იყო კოსტა-რიკის ალმიანი პირველი ხომალდი, რომელიც საქართველოს ნაპირებს მოადგა.

მარგანეცი იყო და არის ძირითადი ტვირთი, რომელიც ფოთიდან გადის. იგი მიაქვთ ევროპის მრავალ ქვეყანაში.

დღედაღამ არ ცხრება ცხოვრება ნავმისადგომებში. ფოთელმა მენავსადგურეებმა იციან, რომ ამ ზამთრის დღეებში მათ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ, და ისინი ცდილობენ იმუშაონ ისე, რომ ერთი საათითაც არ შეაფერხონ გემები ნავსადგურში. საქმეს წყვეტს შრომის უნარიანი ორგანიზაცია, ტექნიკის ოსტატურად გამოყენება. სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს ის დრო, როცა აქ შრომის ძირითადი იარაღი მტვირთავი ადამიანის მხრები და მკლავები იყო. მარტო შარშან თექვსმეტ მილიონ მანეთზე მეტი დაიხარჯა ნავსადგურის ტექნიკურ აღჭურვილობაზე. მისი ახლანდელი პეიზაჟია პორტალური ამწეების მწკრივი, ავტომანქანები, ავტომტვირთავები, ელექტროკარები, შტაბელდამწყობები და სხვა მექანიზმები. ნავსადგურში გამავალი ყველა ტვირთის 99 პროცენტი მექანიზმებით მუშავდება. მტვირთავის ძველი პროფესიიდან მხოლოდ სახელი დარჩა. ახლა იგი მუშაა, რომელიც ტვირთამწეკ მექანიზმებს მართავს. მით უფრო გაიზარდა მისი როლი საერთო საწარმოო პროცესში. საბოლოო ანგარიშით ძალთა სწორ განაწილებაზე, სხვა მექანიზატორებთან მეამწეთა შეწყობილ და ზუსტ მუშაობაზეა დამოკიდებული საქმის წარმატება.

გახურებული მუშაობის ამ დღეებში მტვირთავებიც, მეამწეებიც, ეგრეთწოდებული მცირე მექანიზაციის მუშაკებიც, სამუშაოთა მწარმოებლებიც, დისპეტჩერებიც — ყველანი ცდილობენ ისე მოაწყონ შრომა, რომ გემები ვადამდე გადიოდნენ ზღვაში. ამას წინათ იტვირთებოდა ხომალდი „ჩერნიგოვი", მტვირთავთა ბრიგადამ, რომელსაც აკაკი დუმბაძე ხელმძღვანელობს, მეამწეებთან მჭიდრო თანამოქმედებით თითქმის ორმაგად შეასრულა ცვლის დავალება. ყველაზე მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია ერთ-ერთმა მოწინავე ბრიგადამ, რომელსაც ამირან თოფურია ხელმძღვანელობს. ბრიგადის მტვირთავები დღიურად ორი ცვლის გეგმას ანაღღდნენ. წარმატებით მუშაობენ აგრეთვე აბურჯანიას, გოლუბევის, ბურძელაძისა და შულეიკის ბრიგადები.

დიდი გადაჭარბებით ანაღღებენ ნორმებს მეამწეები — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ანასტასია კაზაკევიჩი, გაბო კორტავა, გივი ფარცვანია, აკაკი ჩაგანავა.

ფოთის ნავსადგურის კოლექტივმა მნიშვნელოვნად გააფართოვა დატვირთვის ფრონტი, სრულყო მთელი რიგი სამარჯვები, განამტკიცა კავშირი რკინიგზელებთან.

...საყვირის დაბალი, ბოხი ხმა ეფინება ფოთის ნავსადგურის სივრცეს. ეს ახალი ხომალდი შემოდის და მოითხოვს თავისთვის ადგილს.

ე. რაზმაძე.

სამეცნიერო სესია

ამ დღეებში ყუთაისში გაიმართა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ტუბერკულოზის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის გამსვლელი სამეცნიერო სესია ქუთაისის ექიმთა საზოგადოებასთან ერთად. სესიას დაესწრნენ რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ტუბერკულოზის საწინააღმდეგო დაწესებულებათა ქსელის მუშაკები.

სესია გახსნა ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა გ. ინასარიძემ. ოთხ სხდომაზე სულ მოსმენილ იქნა 26 მოხსენება ტუბერკულოზთან ბრძოლის ორგანიზაციის, პროფილაქტიკისა და მკურნალობის აქტუალურ საკითხებზე. დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი ინსტიტუტის წამყვანი სპეციალისტების აკადემიკოს ვ. ეფინტის, პროფესორების გ. ინასარიძის, ი. შველიძის, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატების კ. გერსამიას, რ. ქარცივაძის, ფ. მზეიძის და ინსტიტუტის ახალგაზრდა სპეციალისტების, აგრეთვე ქუთაისელი ექიმების მოხსენებები.

ექიმი ბ. შალიკაშვილი.

ახალი არქეოლოგიური გათხრები

თბილისი თავისი უძველესი ისტორიული წარსულით არქეოლოგების დიდ ყურადღებას იპყრობს. უკვე რამდენიმე წელია ქალაქის სხვადასხვა ადგილას წარმოებს გათხრები და აღმოჩენილია საქართველოს ისტორიისათვის ბევრი მნიშვნელოვანი ძეგლი.

გასული წლის ბოლო თვეებში თბილისის ერთ-ერთ ძველ უბანში (კიროვის რაიონში) გათხრებს აწარმოებდა თბილისის სახელმწიფო ისტორიული ეთნოგრაფიული მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია არქეოლოგების ი. გრძელიშვილისა და ო. ტყეშელაშვილის ხელმძღვანელობით.

შავთელის დაღმართზე, ქუჩის გაყოლებით ფენა-ფენად ამოღებულ გრძელ თხრილში ერთახავარ მეტრ სიღრმეზე აღმოჩნდა ქართული აგურით კირის ხსნარზე აშენებული და ამავე აგურით ორფერდად გადახურული XVII საუკუნის საკანალიზაციო გაყვანილობა. ეს აღმოჩენა მიუთითებს ქალაქის უძველესი მიწისქვეშა კომუნალური მეურნეობის არსებობაზე.

ანჩისხატის ტაძრის (VI საუკუნე) ეზოში, ნაგებობის სამხრეთი კედლის გაყოლებით ამოღებულ იქნა 5 მეტრი სიგანისა და სამნახევარი მეტრი სიღრმის თხრილი. აქ აღმოჩნდა XV-XVIII საუკუნეების აგურის აკლდამები და ქვის სამარხები. ყველა ეს სამარხი ადრევე გაუხსნიათ და დაუნგრევიათ, ამიტომ მცირე არქეოლოგიურ ნივთებს შეიცავს. ამ ფენიდან აღსანიშნავია საქართველოში აქამდე უცნობი უნიკალური XV საუკუნის ახალი ქართული მონეტა. მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თხრილის ქვედა კულტურულ ფენაში აღმოჩენილი ნასახლარი და მის ქვეშეთ წითელი ტუფის ქვის ნატეხი VI საუკუნის ორნამენტული შემკულობით. ამით ერთხელ კიდევ მტკიცდება, რომ ანჩისხატის ეკლესია თბილისის ერთ-ერთი უძველესი ნაგებობაა. ამავე უძველეს ფენაში იყო ნახული დიდი და ბრტყელი ნიჟარის ნატეხი არაბული წარწერით, რომლის ერთ ნაწილზე შემორჩენილია წრეები გრადუირების ნიშნებით. როგორც მკვლევარები ფიქრობენ, შეიძლება ეს იყოს

აქატის ქვის საბეჭდავი ადამიანის პორტრეტული გამოსახულებით (III-IV საუკუნეები).

* * *

უძველესი გეოდეზიური ხელსაწყოს ნატეხი.

საკმაოდ დიდ ფართობზე წარმოებდა გათხრები ერეკლე II სახელობის მოედნის ბაღში. აქ ფენა-ფენად გათხრილ ქვაბულში აღმოჩნდა ერთიმეორეზე განლაგებული XVII და XI-XIII საუკუნეების სხვადასხვა ნასახლარი, ხოლო მათ ქვეშ — დაახლოებით ერთი მეტრი სისქის კულტურული ფენა IV-X საუკუნეებისა. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ქვაბულის ცენტრალურ ნაწილში, კულტურული ფენის ქვეშ აღმოჩნდა უძველესი დასახლების (IV საუკუნე) ხუთ-ხუთი მეტრი სიღრმის სამეურნეო დანიშნულების სამი დიდი კედლებმომწვარი ორმო. ეს ორმოები მომდევნო პერიოდში (არაუგვიანეს XI-XIII საუკუნეებისა) მიწით ავსებულა, მხოლოდ ძირზე დარჩენილია უძველესი პერიოდის რამდენიმე მთელი ჭურჭელი და ჭურჭლის ნატეხები.

ბაღის ნასახლარებში და კულტურულ ფენებში ნაპოვნი ბეღრი ნივთიერი მასალა უნიკალური და აქამდე უცნობია. ეს განსაკუთრებით ითქმის ადრინდელი პერიოდის კერამიკული ჭურჭლის, ფეოდალური პერიოდის თეთრი კეცის კერამიკული ჭურჭლის, ადრინდელი მინის ნაწარმისა და სხვა იშვიათი ნივთების შესახებ.

ამავე განათხარებში ზედაპირიდან შვიდნახევარი მეტრის სიღრმეზე აღმოჩნდა აქატის ქვის მცირე ზომის საბეჭდავი, რომელზეც ადამიანის პორტრეტია გამოსახული. სპეციალისტების აზრით ეს ფაქიზად შესრულებული უნიკალური ძეგლი მიეკუთვნება III-IV საუკუნეებს და მიგვითითებს თბილისის არსებობის უძველეს თარიღზე.

ექსპედიციას მეცნიერულ კონსულტაციას უწევს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საკოორდინაციო არქეოლოგიური საბჭოს თავმჯდომარე აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი.

ამჟამად ექსპედიციის წევრები ა. გეგეჭკორი, ს. კაკაბაძე, ც. თოლორდავა, ნ. ნაცვლიშვილი, ქ. კვესი, ნ. ვასილიევა, ნ. თოფურიძე და სხვები აწარმოებენ გათხრებით მოპოვებული მასალების სისტემატიზაციას და მომზადებას თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში გამოსაფენად.

ექსპედიცია არქეოლოგიურ გათხრებს თბილისში განაახლებს მომდინარე წლის მარტის პირველ ნახევარში.

ლ. ხუბულური.

გათხრების დროს ნაპოვნი თიხის ჭურჭელი.

★ ინსპექტორ მეიფარიანის ერამმარცხა

4 ანვარს საღამოს სადგურ ფოთიდან ქ. რუსთავის — ვოგულის ეუბნელზე ორი-ორი — სამი შეუხვია. მათ უჩვეულო სისწრაფით მოხსნეს დერეფნის ელნათურა, გადაჭრეს შენობის სატელეფონო ხაზი და მეორე სართულზე მცხოვრებ მობინადრეს კარზე ფრთხილად დაუკაკუნეს.

— შინაურები ვართ, კარი გაგვიღე.

როგორც კი უცნობები ოთახში აღმოჩნდნენ, კარი ჩაკეტეს და პისტოლეტები იშიშვლეს. მძარცველებმა მოზრდილი ჩემოდანები ძვირფასი ნივთებით გატენეს, გაძარცულ ოჯახს კარი გარედან გადაუკეტეს და ღამის სიბნელეში მიიმალნენ.

მილიციის საქალაქო განყოფილებას ეს შემთხვევა რამდენიმე საათის დაგვიანებით აცნობეს. ოპერატიულმა ღონისძიებებმა იმ ღამეს შედეგი ვერ გამოიღო. გამოცდილმა მძარცველებმა ნამოქმედარის კვალი მოხერხებულად დაფარეს.

მეორე დღეს ძებნა განვაგრძეთ.

მილიციის საგზაო ინსპექტორს ი. მეიფარიანს მიეცა სპეციალური დავალება, რის შესასრულებლად საჭირო იყო თბილისისაკენ გამგზავრება. ამ დროს მან შენიშნა გაჩერებული ტაქსი „პობედა", სწრაფად მიიჭრა მანქანასთან და ერთადერთი თავისუფალი ადგილი დაიკავა. ტაქსი თბილისისაკენ დაიძრა. მეიფარიანის მახვილმა თვალმა თანამგზავრებში გამოიცნო ბანდიტები, რომლებმაც წინა ღამეს რუსთავში ბინა გაძარცვეს. მეიფარიანი შეიარაღებულ მძარცველებს, ცხადია, მისთვის არახელსაყრელ ვითარებაში შეხვდა. მილიციის მუშაკის სიცოცხლეს ყოველ წუთს საფრთხე ელოდა, მაგრამ იგი რიდი დაიბნა. მძარცველებს ისე მოაჩვენა თავი, რომ მათ ეჭვის აღება ვერ შეძლეს.

— აი აქ ვარ გადმოსასვლელი, — უთხრა ტაქსის მძღოლს მეიფარიანმა და მანქანა მილიციის რესპუბლიკური სამმართველოს ეზოში შეაყვანინა. ის სწრაფად გადმოხტა ტაქსიდან და მილიციის სხვა თანამშრომლების დახმარებით მძარცველები განაიარაღა. მანქანაში აღმოჩნდა ნაძარცვი ნივთები.

მძარცველები თვდორე ვლადიმერის-ძე სილეცკი, ვიქტორ ივანეს-ძე სერდიუკი და ივანე ნიკოლაოზის-ძე ჩერეკკო მალე წარსდგებიან სახალხო სასამართლოს წინაშე.

შ. კოდუა,

რუსთავის მილიციის საქალაქო განყოფილების უფროსი.

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

„უდარდელობის შედეგები"

ამ სათაურით „კომუნისტში" დაბეჭდილი წერილი, რომელშიც მხილებული იყო წყალტუბოს რაიონის კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობის შემცირების ფაქტები, განიხილა საქართველოს კპ წყალტუბოს რაიკომის ბიურომ. წერილში აღნიშნული ფაქტები ბიურომ სწორად ცნო და დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. კოლმეურნეობათა გამგეობების თავმჯდომარეებს და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებს დაევალათ გააძლიერონ მუშაობა მეწველი პირუტყვის კვებისა და მოვლა-პატრონობის გასაუმჯობესებლად, მეცხოველეობის პროდუქტების აღრიცხვის უკეთ მოსაწყობად, მწველავებს დაუწესონ ყოველდღიური დავალება და შეუქმნან მუშაობის ნორმალური პირობები, მიაღწიონ იმას, რომ პირუტყვი უზრუნველყოფილი იყოს თბილი ბინით და ნოყიერი საკვებით.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის საქმეში არსებული ნაკლოვანებანი განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად სწორდება.

საუგარი სოფლის ინტელიგენციაზე

გზა—გავლილი ადამიანის სიყვარულით

შენს გზაზე დიდი თოვლი გაქვს გადასათელი თუ წყალი უხიდო გასავლელი, მთა გაქვს გადასალახი თუ დაბურული ტყე გასაკვლევი, — ადამიანი როცა გიყვარს, სიძნელეს არად აგდებ — გადასათელი თოვლი თითქოს ფეხქვეშ გილხვება, წყალი დაბლა იწევს და ფონს იკეთებს, მთა ვაკდება, დაბურულ ტყეს შუქი ეფინება...

თუ გჯერა, რომ საქმე, რომელსაც მისდევ, კეთილია და სახალხო, თუ იცი, რომ გზა, რომელსაც ადგიხარ, სინდისეებით დახლართული, მაგრამ ადამიანის გულამდე კი ხიდად გადებულია, თუ დარწმუნებული ხარ, რომ ლამპარი, რომელიც მიგაქვს, ქარშიც არა ქრება და კაცს გაუნათებს, — მაშინ შენი შრომა ფუჭად არ ჩაივლის.

არის მანძილი ფიზიკური. იგი კილომეტრებით იზომება. მისი გავლა მუხლებს გიღლიკ და გქანცავს. მაგრამ არის კიდევ მანძილი დროისა. იგი წლებით იზომება. მისი გავლა თმაზე გათოვებს და ჭაღარით გმოსავს, მაგრამ, ადამიანის სიყვარულით გავლილი, სულით არ გაბერებს.

...ეუჩუს, გარდასული საუკუნის შვილსა და მიწასთან მიჯაჭვულს, დიდი კაცობრიული იდეები არ ამოძრავებდა. ნნავდა, თესავდა, ოჯახს მეთაურობდა, რგავდა, ნარგავს რწყავდა და ახარებდა. შეეძინებოდა შვილი, ჩაჰყრიდა ნერგებს კახაწყლისპირის ნოყიერ ნიადაგში — იზარდოს შვილთან ერთადო. ახლა სოფელში თუ ვინმეა ამ ცხემლარის ტოლი, ეუჩუს სახლს უკან ცას ტოტებით რომ ეპოტინება, უთუოდ გრიგოლი იქნება, ეუჩუს შვილი. ეუჩუ დიდი ხანია აღარ არის. არის მისი დანატოვარი ოდა, ცხემლარი, ნაძვები, ხეხილი, უკვე მოხუცებული გრიგოლი ცოლით და შვილებით — ეუჩუს გვარის გამგრძელებელნი.

მამისაგან გრიგოლს გამოჰყვა ხვნათესვით, რგვითა და ნარგავების გახარებით გატაცება, მაგრამ არა მარტო მცენარის ნერგებით გატაცება! არის ამ ქვეყნად ყველაზე ძვირფასი „ნერგი" — ბავშვი.

ბავშვები! — აი ვის უძღვნა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება გრიგოლ ეუჩუს-ძე ლოგუამ.

მას რომ ჰკითხოთ, შვილი რამდენი გყავსო, დაფიქრდება — გეგონებათ, დათვლა უჭირსო.

— შვილი ოთხი მყავს, მაგრამ შვილებივით გაზრდილნი აბა როგორღა

გრიგოლ ლოგუა

* * *

დაგითვალო! — გიპასუხებთ ღიმილით და მცირე პაუზის შემდეგ გრიგოლი.

როგორღა დაითვლის! ზოგიერთ მის ნამოწაფარს შვილიშვილებად მოუვა გოგონები და ბიჭუნები, ახლა მერხთან მიყუჩულები გატაცებით რომ უსმენენ გრიგოლ-მასწავლებელს. როგორღა დაითვლის ორმოცდათხუთმეტი წლის მანძილზე ნაამაგდართ, გაფანტულთ ჩვენი სამშობლოს მრავალ კუთხეში, თუმცა კი ჩვენი მოხუცის გულში წარუშლელად შთაბეჭდილთ!

— ერთი რამ გავიგე, იცით, და დავღონდი. ერთი ჩემი ნამოწაფარი მაჯაღლებელი ხანდაზმულობით და ნამსახურობით პენსიაზე გასულა. ახლაც იტყვით, რომ არ მოვხუცდი?

გრიგოლის სახეს ღიმილი ეფინება, „დამნაშავის" თვალებს ბუხრისაკენ მიაპყრობს.

— რა არის, რა, თოლიგე!.. — მოგუზგუზე ბუხრის ახლოს პატარა მაგიდიდან თავს მაღლა სწევს თმადათოვლილი, სიმპათიური ქალი, რომლის სახეს ნაოჭები აქა-იქ შეპარვია. იგი წიგნს კეცავს, ბუხარში კუნძს უკეთებს. — ...ისედაც მოვასწრებთ, ფიქრი ნუ გაქვს, შინ ჯდომას და „ბუზების თვლას".

— ო, მაპატიე, ელენე... ელენეს არ უყვარს ამ თემაზე ლაპარაკი.

— რა საჭიროა ლაპარაკი იმაზე, რაც გარდუვალია, — უსაყვედურებს თმადათოვლილი ქალი. — აბა წარმოიდგინეთ, — მომმართავს ელენე ბათუს ასული და მის ხმას სინაზე, სიფაქიზე ემატება, — შვილები თავიანთ გზას დაადგნენ, „ბუდე" დაკარიელდა. ამას კი შინ ვეღარ გააჩერებ — ან სკოლაშია, ან კოლმეურნეობაში, ან თხილნარსა და მანდარინებში დადის, დაფაცურობს, ბრიგადებში აგიტაციას ატარებს. მე ამდენი არ შემიძლია. ამას კი უნდა შვილობილებსაც დამაშოროს...

ალერსით და სიყვარულით ეკვება გრიგოლს თვალები, სიყვარულით მისი ცხოვრების თანამგზავრისადმი.

— არა, სკოლისათვის არ მოვხუცებულვარ, ჩემი კლასი ახალგაზრდობას მიბრუნებს... მოსწი სკამი ბუხართან,— მიმართავს ელენე თავის თვალისჩინს, — და ცოტა უჭელი მაინც მაგ თამბაქოს წიგნს, კერპო!

ოთახში ბუხარი გუზგუზებს. გარეთ თოვს. ფანჯრის ფრთებით ეხლებიან ბეღურები. საღღაც ორღობეში ურემი მიჭრიალებს, გზიდან მანქანების სირენების ხმა მოისმის. სარკმლიდან თოვლით დათრთვილული თხილნარი და მანდარინების პლანტაცია მოჩანს. თხილნარი ვეებერთელა გაზრდილა, დიდ შემოსავალს აძლევს კოლმეურნეობას. იგი გრიგოლის დარგულია. თხილნარსა და მანდარინების პლანტაციას გრიგოლი იცავს — ოციოდე ნაბიჯზეა მისი სახლიდან. შრომადღეები ეწერება გრიგოლს.

— რა დროს ბუხარია, სულო! იქნებ მანდარინებს რამე უჭირთ! გავალ, მივხედავ...

— მოსასხამი აიღე, თოლიგე, ფეხზე თბილად, აგერ ხელთათმანები... ეჰ, — მომიბრუნდა მერე მე ელენე, — ჩვენ, მარტო დარჩენილი მოხუცები თითქოს „ყავარჯნები" ვიყოთ ერთმანეთისა. შვილები ხომ შინ არ არიან, ცხოვრების დიდ გზაზე დგანან.

რაკი შვილებზე ლაპარაკი ჩამოვარდა, მოვიგონოთ ისინიც: უფროსი, ტაღიანა, დაწყებითი სკოლის მასწავლებელია, შოთა — პარტიული მუშაკი, მამია — ფერშალი, გურამი თბილისშია, უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი.

თუ გავითვალისწინებთ, რომ მასწავლებელი მეორე მმობელია, მაშინ ადვილად წარმოვიდგენთ მათს გაორკეცებულ სიყვარულს ამ ტკბილი მოხუცებისადმი. ისინი ხომ ყველა მათგანის პირველი მასწავლებლები არიან. მარტო ძუძუთი არ უკვებია ელენეს თავისი შვილები, არამედ ცოდნის წყაროთიც, როგორც მასწავლებელს.

აი ეს ოთახი, მოხუცთა ეს თბილი სავანე გრიგოლს თავის დროზე საკოლო ოთახადაც უქცევია. აქ ასწავლიდა ბელათ ღარიბ გლეხთა გოგო-ბიჭებს, აქ აუხელია თვალი პირველად განათლების ასპარეზზე გრიგოლის ბევრ ყოფილ მოწაფეს. მაშინ აქ, ქვემო კახათში, ხომ არ იყო სკოლა. თვითონ მან ბევრი სიმწარე იწვნია, რომ ცოდნა მიეღო, განათლების წყაროს დასწაფებოდა და შემდეგ ხალხის სამსახურში ჩამდგარიყო. ქვემოკახათელი ბიჭი ჯერ ზუგდიდს ეწვია, იქ საქალაქო სასწავლებელი დაამთავრა, მერე ბათუმს გაემგზავრა, სადაც საქალაქო სასწავლებელთან არსებული ერთწლიანი სამასწავლებლო კურსები დაასრულა. შემდეგი გზა, უკვე პედაგოგიური მოღვაწეობის გზა, სიძნელეებით დახლართული, მაგრამ ხალხში განათლების შეტანის ნათელი იდეებით გაშუქებული იყო.

ეს იყო ცხრაასიან წლებში.

ხოლო ოციან წლებში ქვემო კახათში სკოლის ზარის რეკა რომ გაისმა, ეს ჰგავდა მერცხლების მოფრენას, გაზაფხულის მაუწყებელ მათს ჟღურტულს. ეს პირველი ზარი დაირეკა გრიგოლის ინიციატივით და ხალხის მხარდაჭერით აშენებულ სასკოლო შენობაში.

აქ, მშობლიურ სოფელში, გურიაჭარასა და ართვინ-არტანუჯის სკოლებში მასწავლებლობის მძიმე გზა გამოვლილი გრიგოლის პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ნიჭი უფრო გაიფურჩქნა. აქვე დაიწყო პირველად მასწავლებლობა ელენე კობახიძემ, შემდეგში გრიგოლის მეუღლემ და ცხოვრების თანამგზავრმა.

ახლაც დგას ეს სახლი ქვემო კახათის ცენტრში, გრიგოლის მიერ დარგულ ნაძვებსა და ფიჭვებში. აქ, გრიგოლის ინიციატივით აშენებულ სკოლაში თითქმის თვრამეტ წელიწადს ეწეოდნენ პედაგოგიურ მოღვაწეობას ცოლ-ქმარი ლოგუები. 1938 წელს კი უკვე რვაწლიან სკოლას ახალი ორსართულიანი კაპიტალური შენობა დაუთმო კოლმეურნეობამ, ხოლო ძველ შენობაში სოფლის სამკითხველო გადაიტანა.

გრიგოლ ლოგუას პედაგოგიური, ხანგრძლივი პედაგოგიური, უმწიკვლო მოღვაწეობა დაგვიგვინდა ჯერ კიდევ ომის წლებში მისთვის საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდების მინიჭებით. აქვე ხანგრძლივი და უმწიკვლო პედაგოგიური მოღვაწეობით მიიღო ელენე ლოგუამ მთავრობის ორი უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი და შრომის წითელი დროშის ორდენი.

გრიგოლ ლოგუა რუსული ენის გამოცდილი მასწავლებელია. მას არ შეუძლია აუღელვებლად, გულცივად ილაპარაკოს ამ საგანზე.

— მთავარია გადაცემის მეთოდი, — ამბობს იგი, — გადაცემა უნდა ექვემდებარებოდეს ანალიზურ-სინთეზურ მეთოდს, ბგერითს მეთოდს. ღრმად უნდა აცნობდე ბავშვს ანბანსა და ბგერას, სიტყვების დაყოფას მარცვლებად და ბგერებად, აჩვევდე მას ნაცნობი, შესწავლილი სიტყვებისაგან მოკლე წინადადებების შედგენას, უნდა გამოუმუშაო მას მახვილის სწორად დასმის ჩვევა, რუსული მეტყველების ელემენტარული ნორმების, რუსული ენის ძირითადი კანონებისა და წესების ცოდნა, რუსული გრამატიკის საფუძვლების ცოდნა. თუ მასწავლებელი თვითონ ღრმად არის დაუფლებული თავის საგანს და გამოიყენებს ამ მეთოდს, წარმატებასაც მიაღწევს. დიდი რუსი ხალხის ენის ცოდნა აუცილებელია, იგი უნდა შეეყვაროთ მოსწავლეს. მუდამ მახსოვს გოგებაშვილის სიტყვები: გიყვარდეს რუსული ენა ნიშნავს გიყვარდეს ხალხი, მისი შემქმნელი, და საერთოდ, რომელი ენაც უნდა გიყვარდეს, უთუოდ გიყვარს მისი შემქმნელი ხალხიც.

...მოსკოვის გაზეთში დაიბეჭდა ერცელი წერილი გრიგოლ ლოგუას გაკვეთილის შესახებ. ქართველი პედაგოგი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც გახდა ცნობილი. და დაიძრა წერილები მრავალი მხრიდან.

...ბელორუსიის სოფელ ეველინოვოდან საქართველოს სოფელ ქვემო კახათში მოვიდა კონვერტი, რომლის ადრესატი იყო მასწავლებელი გრიგოლ ლოგუა.

— პატივცემულო კოლეგა! — სწერდა ელენე რომანენკო ლოგუას, — მე მყავდა ერთი შვილი, იგი ომში მამაცის სიკვდილით დაეცა. კეთილმა ადამიანებმა მაცნობეს, რომ სადღაც საქართველოს ახლოს არის დამარხული. მე მიყვარს საქართველო. მინდა შევისწავლო ქართული ენა. ხომ არ გამომიგზავნით ქართულ „ანბანს" რუსული წარწერებით?

ჩუვაშეთის სოფელ ხოდარიდან ქვემოკახათელ მასწავლებელს სთხოვს კოლეგა ანტონ ტანკოვია გრამატიკის სწავლების გეგმას და რუსული ენის სახელმძღვანელოს ქართული სკოლებისათვის.

გრიგოლს არ დაუყოვნებია შორეული კოლეგების თხოვნის შესრულება.

...ხალხის სიყვარულით, ადამიანის სიყვარულით არის გავლილი გრიგოლ ლოგუას ვრცელი გზა. ეს გზა თვალწარმტაცი ხეივანია გახარებული ნერგებისა. ამ ხეივნის თავში გონების თვალით ვამჩნევ ორ მუხას, ლამაზად აღმართულს, ტოტებგაშლილსა და ტკბილმობუბუნეს.

ეოლ-ქმარ ლოგუებს ჩავთვლიდი მე ამ ორ მუხად, ხოლო მათგან მომდინარე ხეივანს მათს გახარებულ ნ

ცხოვრების ნორმალიზაცია უნგრეთში

ბუდაპეშტი, 11 იანვარი. (საკ.). უნგრეთის ყველა ქალაქსა და სოფელში გუშინდლიდან გაუქმდა მოსახლეობის ელექტროენერგიით მომარაგების შეზღუდვა. ეს იმის მეოხებით გახდა შესაძლებელი, რომ გაუმჯობესდა მუშაობა ქვანახშირის მრეწველობისა, რომელმაც 9 იანვარს 23 ოქტომბრის შემდეგ პირველად შეასრულა დღიური საწარმოო გეგმა და გამოუშვა 44.470 ტონა ქვანახშირი. ასევე წარმატებით იშრომეს უნგრელმა მეშახტეებმა 10 იანვარს. სიტყმატურად უმჯობესდება სამრეწველო საწარმოების, კომუნალური დაწესებულებების, ჩკინიგზების მუშაობა. მთელ უნგრეთში კვლავ იწყება სპეციალური მუშათა მატარებლების მიმოსვლა შაბათობით, რაც მრავალ ათასობით მშრომელს საშუალებას მისცემს ნორმალურ პირობებში გაატაროს კვირა — დასვენების დღე.

ინტენსიურად მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები ბუდაპეშტის რაიონებში, სადაც იყო ფაშისტ-ჰორტისტ ბანდიტთა შეიარაღებული წინააღმდეგობის ძირითადი კერები. მაგალითად, ფერენც-კერუტზე დამთავრდა 500 ბინის აღდგენა 830 დაზიანებული ბინიდან. აღდგენითს სამუშაოებს აქ ასრულებს ათასზე მეტი მშენებელი მუშა. 2-3 კვირის შემდეგ დამთავრდება შენობათა შეკეთება იოუეფ-კერუტზე. გაჩაღებულია სამშენებლო სამუშაოები იულეის ქუჩაზე. სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს საზოგადოებრივი ტრანსპორტის აღდგენა.

ბუდაპეშტში ცხოვრების ნორმალიზაციასთან დაკავშირებით გაგრძელდა სასურსათო და სამრეწველო საქონლის მაღაზიების, რესტორანების, კაფეების ვაჭრობის საათები, აგრეთვე კინოთეატრების მუშაობა.

სურათზე: სასურსათო მაღაზია ბუდაპეშტის ლენინ-კერუტის ქუჩაზე.

ფოტო ს. პრეობრაჟენსკისა. (საკ.).

უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის განცხადება

ბუდაპეშტი, 11 იანვარი. (საკ.). დღეს უნგრეთის ყველა გაზეთი აქვეყნებს უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის განცხადებას, რომელშიც იგი მტკიცე პროტესტს გამოთქვამს იმ ცდების წინააღმდეგ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ჩაერიოს უნგრეთის საშინაო საქმეებში.

უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის არასასიამოვნო გაკვრვება გამოიწვია, ნათქვამია განცხადებაში, ცნობამ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და 23 სხვა სახელმწიფომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შეიტანეს წინადადება კომისიის დანიშვნის შესახებ, რომლის მიზანია უნგრეთში არსებული მდგომარეობის გამოძიება და უშუალო მეთვალყურეობის ორგანიზაცია უნგრეთში იმ მიზნით, რომ ყველაფრის შესახებ მიაწოდოს ინფორმაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებს.

უნგრეთის მთავრობა მტკიცე პროტესტს აცხადებს ამ წინადადების შეტანის წინააღმდეგ, რომელიც მოასწავებს სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში უმაგალითო უხეშ ჩარევას. უნგრეთის მთავრობას შეუწყნარებლად მიაჩნია ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც ემსახურება ცალკეულ აგრესიულ სახელმწიფოთა მიზნებსა და პოლიტიკურ მისწრაფებებს და დიდ შეურაცხყოფას აყენებს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სუვერენიტეტს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების იმ ძირითადი პრინციპის დაცვის ინტერესებისათვის, რომელიც ლაპარაკობს ორგანიზაციის წევრთა დამოუკიდებლობასა და თანასწორუფლებიანობაზე, უნგრეთის მთავრობა მიმართავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ ყველა სახელმწიფოს და მოუწოდებს მათ უარყონ უნგრეთის საშინაო საქმეებში ჩარევის ცდები და ხელი შეუშალონ იმას, რომ ეს წინადადება მიღებულ იქნას.

უნგრეთში, ნათქვამია შემდეგ განცხადებაში, ამჟამად აღდგენილია კანონიერი წესრიგი და სიმშვიდე. განახლდა და მტკიცედ ვითარდება წარმოება, რომელიც შეწყვეტილი იყო კონტრრევოლუციური ამბების შედეგად. უნგრეთის რევოლუციურმა მუშურ-გლეხურმა მთავრობამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელიც გამოხატავს მშრომელთა დიდი უმრავლესობის ინტერესებსა და მისწრაფებებს. ზემონათქვამის საფუძველზე უნგრეთის მთავრობა ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არავითარ კომისიას არა აქვს უფლება მოუსმინოს, უნგრეთში არსებული მდგომარეობის გამოძიების მიზნით, უნგრეთის საკითხებში არაკომპეტენტურ პირებს და მოაწყოს მეთვალყურეობა უნგრეთში ინფორმაციის მისაღებად. უნგრეთის მთავრობა მოითხოვს მოიხსნას, ბოლოს და ბოლოს, გენერალური ასამბლეის სესიის დღის წესრიგიდან უნგრეთის სუვერენიტეტის შეურაცხყოფელი „უნგრეთის საკითხი“ და საშუალება მიეცეს უნგრელ ხალხს კვლავ დამშვიდებით იმუშაოს თავისუფალი, დამოუკიდებელი და სოციალისტური უნგრეთის შექმნისათვის.

უნგრეთის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XI სესია

ნიუ-იორკი, 11 იანვარი. (საკ.). გუშინ გენერალური ასამბლეის დილის სხდომაზე გრძელდებოდა ეგრეთწოდებული „უნგრეთის საკითხის“ განხილვა ამერიკის შეერთებული შტატების ინიციატივით შეტანილი რეზოლუციის პროექტის საფუძველზე იმ სპეციალური კომიტეტის შექმნის შესახებ, რომელსაც სურთ დააკისრონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ისეთი თავისებური ორგანოს როლი, რომელიც ჩაერევა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საშინაო საქმეებში. რეზოლუციის ამ პროექტის დასაცავად გამოვიდნენ ინგლისის, ფილიპინების, ესპანეთის წარმომადგენლები და ჩანკაიშელი. განსაკუთრებული მოურიდებლობით და ცილისწამებით უნგრეთის, საბჭოთა კავშირისა და მთელი სოციალისტური ბანაკის მიმართ გამოირჩეოდა სიტყვები ფილიპინების, ესპანეთის წარმომადგენლებისა და ჩანკაიშელისა, რომლებიც პირდაპირ მოითხოვდნენ უნგრეთის საშინაო საქმეებში ჩარევას.

უკრაინის სსრ წარმომადგენელმა ლ. ე. კიზიმ აღნიშნა, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა ჯგუფი ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით დაეინებით აზვიადებს „უნგრეთის საკითხს“ ცილისმწამებლური მიზნებით, აგრეთვე იმისთვის, რომ გააღვივოს მტრობა და სიძულვილი სოციალისტური ქვეყნებისადმი. მოგონა რა დამსწრეთ, რომ ჯერ კიდევ 1951 წელს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა მიიღო საერთაშორისო ურთიერთობის ისტორიაში უპრეცედენტო კანონი იმ ქვეყნების მთავრობათა წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობის შესახებ, რომლებთანაც ამერიკის შეერთებულ შტატებს ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა აქვთ, უკრაინის სსრ დელეგატმა აღნიშნა, რომ მას შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების ძირგამომთხრელი საქმიანობა სოციალისტური სახელმწიფოების წინააღმდეგ ამერიკის მთავრობის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი გახდა.

ახლა, თქვა კიზიმ, ჩვენ გვთავაზობენ ამერიკის საგარეო პოლიტიკის ეს სამარცხვინო ჩვეული გადავტანოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ის, ვინც ნამდვილად ხელმძღვანელობს უნგრელი ხალხისადმი მეგობრობის გრძნობით და სურს დახმარება გაუწიოს მას ნორმალური ცხოვრების აღდგენაში, უნდა ცდილობდეს თავისი მეცადინეობა მოახმაროს არა პროვოკაციული რეზოლუციების შეთხზვასა და მიღებას უნგრეთის საკითხზე, როგორც ამას სჩადის ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია, არამედ იმას, რომ რეალური დახმარება გაუწიოს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას. დასასრულ უკრაინის სსრ წარმომადგენელმა მოუწოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შეწყვიტოს უღირსი ცდები ეგრეთწოდებული უნგრეთის საკითხის გარშემო და საშუალება მისცეს უნგრელ ხალხს დამშვიდებით იზრუნოს თავის ქვეყანაში ნორმალური ცხოვრების აღდგენისათვის.

ბულგარეთის დელეგატმა ტარაბანოვმა აღნიშნა, რომ ხმაური „უნგრეთის საკითხის“ გარშემო იმპერიალისტურ სახელმწიფოებს იმისათვის დასჭირდათ, რომ ჩამოაშორონ საზოგადოებრიობის ყურადღება ამბებს, რომლებიც ვითარდება ახლო აღმოსავლეთში, სადაც ამერიკის შეერთებული შტატები ეგრეთწოდებული „ეიზენჰაუერ-დალესის დოქტრინის“ საშუალებით ცდილობენ განამტკიცონ ამერიკის ნავთობის მონოპოლიების პოზიციები.

ბულგარეთის წარმომადგენელმა მოუწოდა ასამბლეას უარყოს წინადადება ისეთი კომიტეტის შექმნის შესახებ, რომელიც ჩაერევა უნგრეთის საშინაო საქმეებში.

ნიუ-იორკი, 11 იანვარი. (საკ.). გენერალურმა ასამბლეამ გუშინ დაამთავრა განხილვა რეზოლუციის პროექტისა, რომელიც შეიტანა ქვეყნების ჯგუფმა ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით. პროექტი ითვალისწინებს სპეციალური „კომიტეტის“ შექმნას ავსტრალიის, ურუგვაის, დანიის, ტუნისისა და ცეილონის შემადგენლობით, რომელიც ჩაერევა უნგრეთის საშინაო საქმეებში „ინფორმაციის შეგროვებისა“ და სხვა საბაბით.

საფრანგეთის, ახალი ზელანდიის, ერაყის, დომინგოს რესპუბლიკის, პანამისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის წარმომადგენლები გამოვიდნენ და დაიცვეს ეს პროექტი.

ალბანეთის დელეგატმა ნესტე ნასემ, ამხილა რა პროექტის ავტორთა ნამდვილი მიზნები, აღნიშნა ის ფაქტი, რომ „უნგრეთის საკითხზე რეზოლუციის პროექტი შეტანილ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების — იმ ქვეყნის ინიციატივით, რომლის ცდაც — აეცდინა უნგრეთი სოციალისტური გზისათვის შინაგანი კონტრრევოლუციის საშუალებით, საკუთარ ჩაიშალა.

ალბანეთის წარმომადგენელმა შეიტანა წინადადება, რომ ასამბლეას უარეყო რეზოლუციის პროექტი და დაუყოვნებლივ მოეხსნა სესიის დღის წესრიგიდან ეგრეთწოდებული „უნგრეთის საკითხი“.

ბელორუსიის სსრ დელეგაციის მეთაურმა კ. ვ. კისელიოვმა აღნიშნა, რომ ამერიკის დელეგაცია ცდილობს გამოიყენოს „უნგრეთის საკითხი“ იმისთვის, რომ გააჩაღოს აღვირახსნილი ანტისაბჭოთა და ანტიუნგრული კამპანია და ჩამოაშოროს მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის აგრესიას ეგვიპტის წინააღმდეგ.

ბელორუსიის დელეგატმა აღნიშნა, რომ „ადამიანის უფლებათა“ დამცველის როლში გამოვიდა ინგლისის — იმ ქვეყნის წარმომადგენელი, რომელიც განუწყვეტელ ომს აწარმოებს მალაიის, კენიის ხალხთა წინააღმდეგ, იარაღით ახშობს ჩრდილოეთ ირლანდიის, კიპროსისა და სხვა ქვეყნების ხალხთა მისწრაფებას დამოუკიდებლობისაკენ. ამ უკანასკნელ წლებში, მოგონა სხდომას კ. ვ. კისელიოვმა, ინგლისის ჯარმა 13 ათასი კაცი დახოცეს კენიაში. ამ პატარა ქვეყანაში 40 ათასზე მეტი აფრიკელი ჩაყრილია საპყრობილეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში.

ბელორუსიის სსრ წარმომადგენელმა ცხადყო, თუ რა უკანონოა წინადადება, რომ შეიქმნას „კომიტეტი“ სუვერენული სახელმწიფოს — უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საშინაო საქმეებში ჩასარევად, და მოითხოვა რეზოლუციის პროექტის უარყოფა.

რეზოლუციას კენჭი უყარეს. მის წინააღმდეგ ხმა მისცა 8 დელეგაციამ: სსრ კავშირის, ალბანეთის, ბულგარეთის, ბელორუსიის სსრ, პოლონეთის, რუმინეთის, უკრაინის სსრ, ჩეხოსლოვაკიის დელეგაციებმა. თავი შეიკავეს 10 ქვეყნის — ავღანეთის, ეგვიპტის, ფინეთის, ინდოეთის, იორდანიის, საუდის არაბეთის, სირიის, სუდანის, იუგოსლავიისა და კუბის დელეგაციებმა.

ამერიკის შეერთებული შტატების მორჩილმა ასამბლეის უმეტესობამ მიიღო ეს უკანონო რეზოლუცია, რომელიც ადასტურებს უნგრეთის საშინაო საქმეებში პირდაპირი ჩარევის ცდას.

პრეზიდენტ ეიზენჰაუერის მიმართვა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესისადმი „სახელმწიფოს მდგომარეობის შესახებ“

ვაშინგტონი, 11 იანვარი. (საკ.). როგორც უკვე ვიუწყებოდით, გუშინ პრეზიდენტი ეიზენჰაუერი კონგრესის ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე გამოვიდა ტრადიციული მიმართვით „სახელმწიფოს მდგომარეობის შესახებ“, რომელშიც ჩამოაყალიბა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკის საფუძვლები.

თავისი მიმართვის საგარეოპოლიტიკურ ნაწილში პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა ჩამოაყალიბა თავისი თვალსაზრისი იმ ამბებზე, რომლებიც ახლა ხდება მსოფლიოში. როგორც მიმართვის ტექსტიდან ჩანს, პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა გამოაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების მსოფლიო ბატონობის დამყარების აშკარა იმპერიალისტური პროგრამა, ამტკიცებს რა, რომ „ამერიკის სასიცოცხლო ინტერესები დაკავშირებულია მთელ მსოფლიოსთან, მოიცავს ორივე ნახევარსფეროს და ყველა კონტინენტს“. ეიზენჰაუერი თავის მიმართვაში აღიარებს დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გაძლიერებას და უწოდებს მას „ნაციონალიზმის მზარდ და ყველასათვის გასაგებ ტალღას“.

„უკვე მომხდარი ცვლილებები, — განაცხადა მან, — მოასწავებენ თავისუფლების სულისკვეთების გავლენით გარდაქმნილ მსოფლიოს“. მაგრამ, როგორც პრეზიდენტის სიტყვებიდან ჩანს, ეს მსოფლიო უნდა ექვემდებარებოდეს ამერიკის შეერთებული შტატების კონტროლს. „ჩვენი ვალდებულებანი, — აღნიშნა ეიზენჰაუერმა, — ჩვენი განათლებული საკუთარი ინტერესები... გვავალებენ ვიკისროთ მაღალი როლი მსოფლიოს საქმეებში — ენერგიული ხელმძღვანელობის როლი...“

ამასთან დაკავშირებით ეიზენჰაუერი ფაქტიურად მოუწოდებდა გამალებული შეიარაღების გაძლიერებისაკენ და მოითხოვდა „თანამედროვე, საკმაო და საიმედო სამხედრო ძლიერებას“, თუმცა, როგორც მან განაცხადა, ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები ამჟამად „ყველაზე ძლიერი არიან მშვიდობიანი დროის ისტორიაში“. „მეცნიერული კვლევითა და გაუმჯობესებით, — განაცხადა პრეზიდენტმა, — ჩვენ განუწყვეტლივ ვქმნით უფრო ეფექტიან სახეობათა იარაღს... ამ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებებს ჩვენ განვაგრძობთ“. სამხედრო თვალსაზრისით ეიზენჰაუერი მოითხოვდა მოქმედებას „მჭიდრო თანამშრომლობით ჩვენი მეგობრების ძალებთან“, ესე იგი ისეთი აგრესიული ბლოკების მონაწილეებთან, როგორიც არიან ნატო და სეატო. იგი ქება-დიდებას ასხამდა ამ ბლოკებს და ამტკიცებდა, რომ ისინი თითქოს ხელს უწყობენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა ქვეყნების მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებას.

პრეზიდენტმა მოუწოდა კონგრესს გაუდიოს ასიგნობანები ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოს, რომელსაც აკისრია პასუხისმგებლობა ამერიკის შეერთებული შტატების მთელი პროპაგანდისტული საქმიანობისათვის საზღვარგარეთ და რომელმაც მოიხვეჭა „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის მქადაგებლის სახელი.

პრეზიდენტმა, როგორც ჩანს ჯეროვანი მიუხედა რა საზოგადოებრივ აზრს, განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები „მზად არიან დადონ ყოველგვარი საიმედო შეთანხმება, რომელიც შესაძლებელს გახდის შემცირდეს შეიარაღება და შეიარაღებული ძალები“. იგი კვლავ იცავდა თავის „ღია ცის“ გეგმას.

თავისი მიმართვის საბოლოო ნაწილში ეიზენჰაუერი კვლავ მოითხოვდა მისი პროგრამის მიღებას შუა აღმოსავლეთის შესახებ, რომელსაც, როგორც ცნობილია, აშკარა იმპერიალისტური ხასიათი აქვს და ითვალისწინებს იმას, რომ უზრუნველყოს ამერიკის შეერთებული შტატებისათვის ბატონობის დამყარება ამ რაიონში.

ამერიკის შეერთებული შტატების საშინაო მდგომარეობის შეფასებაში ეიზენჰაუერი ამტკიცებდა, რომ ამჟამად ამერიკის ეკონომიკა „ძლიერი“ და „არსებითად ჯანსაღია“. მაგრამ მან შეშფოთება გამოთქვა შესაძლო ინფლაციის გამო და განაცხადა, რომ „საფრთხე ყოველთვის არსებობს“. ამ საბაბით მან მოუწოდა მუშებს არ მოითხოვონ ხელფასის მომატება და „ჩაუკვირდნენ ამერიკელი ხალხის წინაშე თავიანთი პასუხისმგებლობის საკითხს“. მან მოუწოდა აგრეთვე კაპიტალისტებს მოერიდონ ფასების გადიდებას, მაგრამ თქვა, რომ „ვონიერული მოგება საჭიროა“.

საშინაო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებს, ისეთებს, როგორიც არის გადასახადების საკითხი, ფერმერთა მდგომარეობა, შრომითი კანონმდებლობა, ჯანმრთელობის დაცვა და სხვ., პრეზიდენტი ეიზენჰაუერი თავის მიმართვაში არ შეხებია და განაცხადა, რომ ისინი გაშუქებულ იქნება „მომავალ მიმართვებში“, როგორც ამბობენ, პრეზიდენტის სიტყვით, გაგზავნილ პირადად იგი ან „უწყებათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები“.

ჯოუ ენ-ლაი ვარშავაში ჩავიდა

ვარშავა, 11 იანვარი. (საკ.). დღეს თვითმფრინავით „ტუ-104“ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მოწვევით ვარშავაში ჩამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია, რომელშიც შედიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჯოუ ენ-ლაი (დელეგაციის მეთაური), პრემიერის მოადგილე ხე ლუნი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვან ძია-სიანი.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და პოლონეთის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვარშავის აეროდრომზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას და მის თანმხლებ პირებს შეხვდნენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცირანკევიჩი, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ა. ზავადსკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. გომულკა, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, მთავრობისა და სახელმწიფო საბჭოს წევრები, პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელები, პოლონეთის ჯარის გენერლები და ოფიცრები, ვარშავის საწარმო-დაწესებულებათა მრავალრიცხოვანი დელეგაციები, პოლონელი და უცხოელი კორესპონდენტები.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას შეხვდნენ აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი პოლონეთში ბ. კ. პონომარენკო, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი პოლონეთში ვან ბინ-ნანი, რომელიც შედის დელეგაციის შემადგენლობაში, ვარშავაში აკრედიტებული საელჩოთა და მისიათა მეთაურები და თანამშრომლები.

ჩინეთის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულდა ჩინეთისა და პოლონეთის სახელმწიფო ჰიმნები.

პოლონეთის მთავრობის, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ხალხის ერთიანობის ფრონტის სხვა პარტიების სახელით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას გულითადად მიესალმა ი. ცირანკევიჩი.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების მოლაპარაკება

ვარშავა, 12 იანვარი. (საკ.). პოლონეთის მთავრობის მოწვევით ვარშავაში იმყოფება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ჯოუ ენ-ლაის მეთაურობით.

გუშინ დაიწყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების მოლაპარაკება. ჩინეთის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჯოუ ენ-ლაი, პრემიერის მოადგილე მარშალი ხე ლუნი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვან ძია-სიანი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი პოლონეთში ვან ბინ-ნანი.

პოლონეთის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. გომულკა, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ა. ზავადსკი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცირანკევიჩი, საგარეო საქმეთა მინისტრი ა. რაპაცკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ე. ოხაბი და რ. ზამბროვსკი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მ. ნაშკოვსკი და პოლონეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ს. კირილიუკი. დღეს მოლაპარაკება გაგრძელდება.

გუშინ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ცირანკევიჩმა დარბაზობა გამართა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის ჯოუ ენ-ლაის პოლონეთში ყოფნის გამო.

დარბაზობის დროს ი. ცირანკევიჩმა, ჯოუ ენ-ლაიმ და ვ. გომულკამ სიტყვები წარმოთქვეს.

ფაშისტთა გამოხდომა წინასაარჩევნო მიტინგზე პარიზში

პარიზი, 11 იანვარი. (საკ.). გუშინ პარიზში გაიმართა წინასაარჩევნო მიტინგები იმასთან დაკავშირებით, რომ 13 იანვარს უნდა აირჩიონ დეპუტატი სენის დეპარტამენტის პირველი საარჩევნო ოლქისაგან გარდაცვალებული რადიკალ-სოციალისტის მორო-ჯიაფერის ნაცვლად. საზამთრო ველოდრომის შენობაში მოეწყო რადიკალთა და რადიკალ-სოციალისტთა რესპუბლიკური პარტიის მიტინგი ამ პარტიის ლიდერის მენდეს-ფრანსის თავმჯდომარეობით.

მაგრამ ფაშისტი ვაუბატონების ჯგუფმა პროვოკაციით გამოიწვია ინციდენტები, რომლებმაც ხელი შეუშალა მენდეს-ფრანსის გამოსვლას. თავდამსხმელები ისროდნენ ცრემლსადენ გაზიან გრანატებს და ცეცხლგამჩენ ნარევიან ბოლოებს, ამასთან ისინი გაიძახოდნენ რეაქციული და კოლონიზატორული პროპაგანდის ლოზუნგებს: „ალჟირი საფრანგეთს ეკუთვნის!“, „თავისუფლება გენერალ ფორს!“ (როგორც ცნობილია, გენერალი ფორი ალჟირში სამხედრო-ფაშისტური პუტჩის მომზადების შესახებ გამოშკარავებული შეთქმულების ერთ-ერთი მონაწილეა).

პოლიციამ მხოლოდ მას შემდეგ „მოუსწრო“, როცა შენობაში დაიწყო ხანძარი და მიტინგი შეწყდა.

გაზეთი „ლუმანიტე“ აღნიშნავს დღეს, რომ ასეთი სერიოზული პროვოკაციები კომუნისტური პარტიისა და პროგრესული ორგანიზაციების შენობებზე თავდასხმის შემდეგ მოწმობენ, რომ გააქტიურდა რეაქცია და ფაშიზმი, რაც საფრთხეს უქმნის მთელ მემარცხენე დემოკრატიულ ძალებს.

პარიზი, 11 იანვარი. (საკ.). საღამოს გაზეთების ცნობებით, ფაშისტებსა და რადიკალებს შორის შეტაკების დროს დაიჭრა ათი კაცი. მატერიალური ზარალი, რაც ფაშისტებმა საზამთრო ველოდრომს მიაყენეს, რამდენიმე მილიონ ფრანკს უდრის.

საქართველოს კაღათბურთელთა წარმატება

რიგა. 11 იანვარი. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). აქ დამთავრდა მიმდინარე წლის სასპორტო სეზონის ერთ-ერთი საინტერესო და მასობრივი ასპარეზობა -კალათბურთში გოგონათა და ჭაბუკთა უძლიერეს კოლექტივებს შორის. საერთო ინტერესს იწვევდა დასკვნითი შეჯიბრების უკანასკნელი მატჩები, რომლებიც მძაფრი ბრძოლით ხასიათდებოდა.

მოწონება დაიმსახურა თბილისის „ბურევესტნიკის“ გოგონათა გუნდის მაღალტექნიკურმა თამაშმა, რომელმაც ყველა შეხვედრა მოიგო და პირველი ადგილი დაიკავა. გუნდის შემადგენლობაში შედიან: ნ. თინიკაშვილი, ლ. ქველიძე, ნ. ჯაფარიძე, ნ. წიკლაური, ი. ხახვიაშვილი, ე. არსოშვილი, ნ. ჯანელიძე, ნ. მარტიროსოვა, უ. ფილიშვილი, ც. ჯიშკარიანი, ლ. ლუდუშაური, მ. კაკაბაძე. მწვრთნელი — გ. ბაბაბანიდი.

მეორე ადგილზე გამოვიდა მოსკოვის „დინამოს“ გოგონათა გუნდი, მესამეზე — მოსკოვის „სტროიტელი“.

ჭაბუკ კალათბურთელთა შორის გამარჯვებული გამოვიდა ტარტუს „კალევი“. თბილისის დინამოელებმა (ჭაბუკები), რომელებმაც უკანასკნელ მატჩში დაამარცხეს მოსკოვის სპარტაკი ანგარიშით 48 : 40, მეორე ადგილი დაიკავეს. მესამე ადგილზე გამოვიდა დედაქალაქის „სპარტაკი“.

გამარჯვებულ სპორტსმენთა კოლექტივებს საზეიმოდ გადაეცათ გარდამავალი ჯილდო — თასი.

1956 წელს სრული სიმძლავრით ამუშავდა გუმათის № 2 ჰიდროელექტროსადგური.
სურათზე: გუმათის № 2 ჰიდროელექტროსადგურის შენობა.

ფოტო პ. ლუცენკოსი.
(საკ.).

დინამოელები ახალი სეზონისათვის ემზადებიან

ახლოვდება ფეხბურთის ახალი სეზონი. როგორც ყოველთვის, საერთო ინტერესს იწვევს საკავშირო ჩემპიონატი „ა“ და „ბ“ კლასის გუნდებისათვის. წელს სსრ კავშირის პირველობის გახსნა ნავარაუდევია 31 მარტისათვის. ჩვენი ქვეყნის სამხრეთ ქალაქებში მოეწყობა „ა“ კლასის ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივების პირველი კალენდარული მატჩები.

სეზონის ასე ნაადრევი გახსნა ჩემპიონატში მონაწილე გუნდების წინაშე ახალ, გაზრდილ მოთხოვნილებებს აყენებს. ამიტომ ისინი აქედანვე იწყებენ მზადებას, სისტემატურ წვრთნას შემდგომი დაოსტატებისათვის, მაღალტექნიკური თამაშის სრულყოფისათვის, სპორტსმენთა ფიზიკური მომზადებისათვის, ძირითად და დუბლშემადგენლობათა დაკომპლექტებისათვის.

1957 წლის სპორტული სეზონისათვის მზადებას მიეძღვნა თბილისის „დინამოს“ მწვრთნელთა და ფეხბურთელთა საორგანიზაციო კრება, რომელიც ამ დღეებში გაიმართა თბილისის „დინამოს“ სტადიონის ოსტატთა კლუბში. გასული წლის შედეგებზე და ახალი სეზონისათვის მზადებაზე ილაპარაკა გუნდის უფროსმა მწვრთნელმა გ. ჯეჯელავამ. სიტყვებით გამოვიდნენ ა. ლოლობერიძე, კ. გაგნიძე, დ. ცომაია, ვ. მარღანია, ზ. კალოევი და სხვ.

ყურადღება გამახვილებულ იქნა დინამოელთა თამაშის შემდგომ გაუმჯობესებასა და სრულყოფაზე. გამოითქვა აზრი მცველთა ხაზის გაძლიერებაზე, თამაშის ტაქტიკის სიახლეზე, ახალგაზრდა ფეხბურთელთა გაბედულ დაწინაურებაზე, მოწინააღმდეგეთა მოედანზე და წვიმიან ამინდში თამაშზე, დისციპლინის შემდგომ განმტკიცებაზე და სხვ.

გასულ სასპორტო სეზონში 179 ფეხბურთელი შეიწყმდა. დღეიდან წვრთნას შეუდგება 65 სპორტსმენი. ამ მოთამაშეებიდან დაკომპლექტდება „დინამოს“ ძირითადი და დუბლშემადგენლობა. გარდა იმ მწვრთნელებისა, რომლებიც გასულ სპორტულ სეზონში იყვნენ, ფეხბურთელებს დახმარებას გაუწევენ გ. გაგუა, ვ. პანიუკოვი, ა. გალპერინი. გუნდის შემადგენლობაში შეყვანილი არიან ახალგაზრდები, გაძლიერდება დინამოელთა შემადგენლობა.

თბილისის დინამოელებმა დაიწყეს წვრთნა. ვარჯიშები მიმდინარეობს სასპორტო დარბაზებში. ბურთით ვარჯიშთან ერთად წვრთნის სისტემაში შედის მძლეოსნობის სახეობები, კალათბურთი, წყალბურთი. თებერვლის პირველი რიცხვებიდან დინამოელები ლესელიძეში გაემგზავრებიან, სადაც 15 მარტამდე დაჰყოფენ. წვრთნის პერიოდში მოეწყობა საკონტროლო მატჩები, შეხვედრა თბილისში „ა“ და „ბ“ კლასის გუნდებთან.

საორიენტაციო კალენდარით პირველი მატჩები გაიმართება თბილისში. 31 მარტს თბილისის „დინამო“ შეხვდება გასული წლის ჩემპიონს მოსკოვის „სპარტაკს“, 6 აპრილს — მოსკოვის „დინამოს“, 11 აპრილს — ცდსა-ს. თბილისში ნავარაუდევია აგრეთვე საერთაშორისო ამხანაგური მატჩები.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია

საზამთრო თეატრი
(ბლეხანოვის პროსპ. № 123)
დღეს, 13 იანვარს

კ ო ნ ც ე რ ტ ი
სიმღერა და იუმორი

მონაწილეობენ **კ. მარჯანიშვილის** სახელობის **სახელმწიფო თეატრის** მსახიობები **ე. ყიფშიძე, ვ. ნინუა** და სხვ.
დასაწყისი საღამოს 9 საათზე.
ბილეთები იყიდება.

ᲓᲦᲔ
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

ოპერისა და ბალეტის — ტრუბადური (რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტის ე. ვილკოვიჩის მონაწილეობით), **რუსთაველის სახელობის**—ესპანელ